


# ՆՍՅՆՄԱՆՈՒԹՅՈՒՆ

3

140  
2002/2



Հոգևորական Տիկնիզներ

Կենցաղ մեղրամոլ  
բարամիտ ցանքառներ



Ձեռնը չոն տիկնոջ դե  
նտիզներ?



Կուրսը զգոյնից քաղց  
նեկրոյն լոզներ...

Եղևցո



Երգե  
Նվերգրող  
Տնկարուհի



Երկրամաս  
Ցայրգոյն լոզներ

# „ნაკადული“ გზური, დღეს, ხვალ ...

ალბათ უფრო მართებული იქნება ჩვენი ჟურნალის ასაკის ათვლა 1904 წლიდან დავიწყოთ, როცა სასიქადლო მამულიშვილთა მესვეურებით დაფუძნებული საცამაწელო „ნაკადული“ პირველი ნომერი გამოვიდა. მონარდებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური ჟურნალი „ნაკადული“ გამოდიოდა 1904-1920 წლებში, სვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ ნ. ერისთავი და ნ. ზურაბაშვილი.

1926 წლის ოქტომბერში გამოვიდა აწინდელი „ნაკადულის“ უშუალო წინამორბედი, ჟურნალი „პიონერი“.

მამ ასე, იმ პირველი საცამაწელო ჟურნალების ნაფუძარზე ამოზრდილი ჩვენი და თქვენი „ნაკადული“, ყოფილი „პიონერი“, დიდად ღვაწლობისილი გამოცემაა. ვინ მოთვლის, რამდენ მონარდს მიუღია სულიერი სარდლო და ესთეტიკური სიამოვნება მისი ფურცლებიდან, რამდენს გაუმიდრებია ცოდნა, რამდენს გოგო-ბიჭის ფერს, ნატურასა და ოცნებას უყვავილია მის გვერდებზე, რამდენ ახალგაზრდა მწერალს, პოეტსა თუ მხატვარს აუღვამს ფეხი და დავაჟაკებულა ჟურნალში! სიამოვნებით თანამშრომლობდნენ მასთან შიო მღვიმელი, ნინო ნაკაშიძე, ლეო ქიაჩელი, ანა ხახუტაშვილი, მარიჯანი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ილია სიხარულიძე, მაყვალა მრეველიშვილი, მოგვიანებით კი - ნიკო კეცხოველი, მარგო თომაძე, რევაზ ინანიშვილი, ნაზი კილასონია, გივი ჭიჭინაძე, კარლო კობერიძე, სხვები და სხვები. ჟურნალი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალპროფესიული ილუსტრაციებით, რაც, ცხადია, მის გარშემო შემოყრებილი მხატვრების დამსახურებაა. სვადასხვა დროს ჟურნალის დასურათხატებაზე სულითა და გულით მუშაობდნენ ლადო გუდაიშვილი, უჩა ჯაფარიძე, შალვა ცხადაძე, დიმიტრი ხახუტაშვილი, გიორგი თოთიბაძე, კოკი მახარაძე, რევაზ ცუცქერიძე, რომელთა საუკეთესო ტრადიციები განაგრძეს იოსებ სამსონაძემ, ჯემალ ლოლუამ, თენგიზ სამსონაძემ, ზურაბ ფორჩხიძემ, ედუარდ ამბოკაძემ, დიმიტრი ზარაფიშვილმა, თემურ ფხვიძემ, ზაურ ღვისაძემ და ბევრმა სხვამ, ყველას ვერ ჩამოვთვლით.

გადიოდა დრო, იცვლებოდა მეთხველთა თაობები, იცვლებოდა მათი ინტერესებიც, გემოვნებაც, ცხადია, იცვლებოდა, რედაქციის შემადგენლობაც. ამის შესაბამისად მრავალფეროვნდებოდა ჟურნალი, იცვლიდა გარეგნულ იერს, ერთი განყოფილება თუ რუბრიკა მეორეს ცვლიდა. უცვლელი რჩებოდა მთავარი დანიშნულება - ღირსეული მამულიშვილები აღზარდა სამშობლოსთვის, სიყვარული, სიყვითე ეთესა ყმაწვილთა გულებში, გაეფაქიზებინა მათი სული, ესწავლებინა შრომის ყადრი, გაეფართოებინა თვალსაწიერი. მეთხველთა უამრავი წერილი, მათი ცხოველი მონაწილეობა ჟურნალის ფურცლებზე წამოწყებულ საუბრებში, დისკუსიებსა თუ ვიქტორინა-კონკურსებში იმაზე მეტყველებდა, რომ ყმაწვილებს მოსწონდათ მათი ჟურნალი, რომ ისინი ენდობოდნენ მას. ხოლო ეს მოწონება, სიყვარული და ნდობა ძალას მატებდა ჟურნალის ყოველი ნომრის მომზადება-გამოცემაზე მომუშავე ადამიანებს და მეტის გასაკეთებლად განაწყობდა თითოეულ მათგანს.

სიხარული, ბედნიერი დღეები, გამარჯვებები მრავლად ჰქონდა ჟურნალს განვლილი წლების მანძილზე. თუმცა ბოლო ხანებში ცოტა გაუჭირდა, გამწვლდა საბარო ეკონომიკის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა შესაბამისი პირველი ნაბიჯების დამოუკიდებლად გადაღება, მაგრამ ჟურნალი კვლავაც გამოდის. თუმცა მცირე ტირაჟით, თუმცა არაყოველთვიურად, არაფერადი, მაგრამ მაინც გამოდის, ხოლო ისეთი პირი უჩანს, რომ ხვალ-ზეგ საქმე უკეთ და უკეთ წავა და ყმაწვილებისთვის განკუთვნილი ჟურნალი ისეთი იქნება, ჩვენ რომ გვიხნა და თქვენ რომ იმსახურებთ. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ, გარჯასაც მოვუმატებთ და შემოქმედებით მივბასაც გავა-ათვეცებთ. ჩანაფიქრი, გეგმა, სურვილი ბევრი გვაქვს, და ეკვი არ არის, მათი განხორციელება ყველას გაგახარებთ. თქვენ კი, მეთხველებო, ერთს გთხოვთ - იყითხეთ „ნაკადული“, ითანამშრომლეთ ჩვენთან, მოგვეწერეთ, რა მოგწონთ და რა არა ჟურნალში, რის წაკითხვას ისურვებდით მის ფურცლებზე.

რედაქცია



# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი  
2002 წ. №3

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ .....	3
სალომე კარიჭაშვილი (დასამახსოვრებელი სახელები) .....	4
ვლ. ასლამაზიშვილი – პეპელა (მოთხრობა) .....	5
მსოფლიო კიდით კიდემდე .....	6
რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი .....	7
დღეს პირველი აპრილია .....	9
„ოდოშხერი“ .....	10-21-24
თამაზ ბიბილური, „მზეკაბანი“ .....	11
ნინო კახიანი, ლექსები (თურმე ჩემი მასწავლებელი...) .....	15
თამაში – ვიქტორინა პრიზებით .....	16
როცა ვეფხვს კუჭი ასტიკვდება... (ბუნების კარი) .....	18
რატომ ვამბობთ ასე? სიტყვის კონა .....	20
ჯვარი (ერთი სიტყვა-ცნება ლექსიკონიდან) .....	22
ფრჩხილებით დაწყებული (სილამაზის გაცვეთილები) .....	25
მარჩელო არჯილი – შეყვარებული წყალქვეშა ნავი (ზღაპარი) .....	26
მაინც ვინ არიან ეს ბოშები? (კითხვა-თქვენი, პასუხი – ჩვენი) ...	28
ადვილად პატიობ თუ არა (ტესტი)? .....	30
ჯადოსნური სარკე .....	31
სიცილის გაცვეთილი .....	32

## რედაქტორი მანანა ბალაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი კოსტავას ძ. 14

ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.

ინდექსი: 76157.

ფასი სახელმძაკრულად

რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში

მარტი




ძველად ახალი წელი პირველი მარტიდან იწყებოდა. ამ თარიღს ბიბლიურ გადმოცემას უკავშირებდნენ – თითქოს პირველი ადამიანი, ადამი პირველ მარტს ყოფილიყოს შექმნილი. თავად სიტყვა „მარტი“ ლათინური წარმოშობისაა და ძველ რომაელთა ომის ღმერთის, მარსის სახელიდან მომდინარეობს. ადრე მარსი მინდვრებისა და მოსავლის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ღმერთი ყოფილა. ამიტომაც იწყებოდა მარსთან დაკავშირებული ყველა დღესასწაული გაზაფხულსა და შემოდგომაზე – თესვისა და ჭირნახულის აღების დროს. მაგრამ დროთა განმავლობაში მშვიდობიან ღმერთს სახე უცვლია და ომის მრისხანე ღმერთად ქცეულა.

მარტის ძველქართული სახელია მირკანი.

მარტი გაზაფხულის პირველი თვე დასაწყისია. თუ თვის პირველ ნახევარში მაინც ზამთარი ძაღობს, მეორე ნახევარში გარდამავალი პერიოდი იწყება – სწრაფად მატულობს დღე, შუადღისას მზე თითქმის ზენიტშია. 21 მარტი გაზაფხულის ბუნიობის დღეა. ამ დღეს დღე და ღამე თანაბრდება. ასტრონომიულად კი ამ დღეს მზე სამხრეთ ნახევარსფეროდან ჩრდილოეთში გადასვლისას ციურ ეკვატორს კვეთს. მარტი ჭირვეული, მიზეზიანი თვეა და ტემპერატურის დიდი ცვალებადობით გამოირჩევა.

ჩვენს ხალხს უთქვამს: „მარტი პატარძალია, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიფუშება“. „მარტის სამი დღე რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო“ – ესეც მარტზეა ნათქვამი.



გიორგი ლეონიძე

## იკორთა

იკორთა! -

წრემლი რად დამიგორდა,  
კრთის იკორთაში გმირთა ნათელი...

თითქოს მინიდან ამოდის სხივი,  
იხფრად ღვივის...


ვხედავ, აჩრდილებს თითქოს სიზმარში,  
ხმალანეულნი მოდიან მარშით, -

შაღვა, ელიზბარ, ზიძინა... სხვანი...

შავს მუზარადზედ იელოვებს ხმალი  
გამოსახსნელად აკვნის ზავშვისა...  
მიგორავს თავი ყიზილობაშისა...


.....  
იკორთა!

მკერდი ვინ დამიკოდა?



# ფაქტი

## „ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო



საინფორმაციო  
სააგენტო

### „მედიკოსის და პრეზიდენტი“ მსოფლიოსათვის

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის 3000 მოზარდმა მიიღო მონაწილეობა ფესტივალში „იუნესკო და ამიერკავკასიის ბავშვები მშვიდობისა და ერთიანი მსოფლიოსათვის“. ფესტივალის დასკვნითი კონცერტი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა. კონცერტზე საქართველოს ანსამბლებთან ერთად დიდი წარმატება ხვდა წილად ბაქოს ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ასიმანი“ და ერევნის „გარუნის“ და „ვასპურაკამს“.

### მიქაელა ვ. ჭაბუკიანი

ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების 92-ე წლისთავს მიეძღვნა კონცერტი დიდი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელთა მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნა ნაწევრები ბალეტებიდან, რომლებშიც თავის დროზე ვ. ჭაბუკიანი ასრულებდა წამყვან პარტიებს. კონცერტის გვირგვინი იყო ადაჟიო ვ. მაჭავარიანის „ოტელიო“, რომელიც შესანიშნავად შეასრულეს სასწავლებლის მოსწავლეებმა ლამა ხოზაშვილმა და მაია დოლიძემ.

### სავალდებულო სტატისტიკა

2001 წლის მონაცემებით, შარშან თბილისის სკოლებში არასრულწლოვანებმა 166 დანაშაული ჩაიდინეს, მათგან – 7 მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, 9 – სხეულის დაზიანება, 22 – ყაჩაღობა, 110 – ქურდობა, 4 – ავტომობილის გატაცება, 3 – იარაღის ტარება და შენახვა, 3 – სხვადასხვა სახის დანაშაული.

### მედიკოსი ბოტანიკურ ბაღს, ფულს არ

გალაგასდვინებამ თბილისის მერიის განცხადებით, ამიერიდან სკოლის მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის კოლექტიური ექსკურსიები განახლებულ და გალამაზებულ ბოტანიკურ ბაღში უფასო იქნება.

### თავმჯდომარე კერძო სახლში

პროფესიით ეკონომისტმა რეზო ფირანიშვილმა საკუთარ სახლში ობოლ ბავშვთა თავშესაფარი გახსნა. ეს ნაბიჯი მან მას შემდეგ გადადგა, რაც მისი მეგობარი ცოლითურთ ავტოავარიაში დაიღუპა და მათი ორი შვილი ობლად დარჩა. მან ამ პატარების, აკაკის და

ირაკლის მამიდამ ქალბატონმა რუსუდან ხიდუშელმა და ბატონმა რეზომ ობოლ ბავშვთა თავშესაფრის გახსნა გადაწყვიტეს. მათ ბ-ნი რეზოს დედა ქ-ნი ზინა ზეიკიძეც ამოუდგა მხარში. დღეს 45 გოგო-ბიჭი დედის ამ სახლში სკოლის შემდეგ. აქ მათ უსასყიდლოდ ამცადინებენ, ასადილებენ, ართობენ, საღამოს კი ისინი შინ ბრუნდებიან. ბავშვები ხშირად დაჰყავთ ექსკურსიებზე, თეატრებში.

### კვლელობა „უპატრონო“ ბავშვებისათვის

თეოდორ ჰოისის კოლეგიასთან არსებული „სტუდენტური კლუბის“ ინიციატივით კინოთეატრ „ქოლგამი“ საქველმოქმედო ჩვენება მოეწყო. გლდანისა და თემქის ბავშვთა სახლების 50 აღსაზრდელს უჩვენეს ანიმაციური ფილმი „გზა ელდორადოსკენ“. ეს სტუდენტური კლუბის მეორე საქველმოქმედო აქციაა. ადრე მისმა წევრებმა მატერიული დახმარება გაუწიეს მშობლების მეურვეობას მოკლებულ ბავშვებს. მომავალში კი მათ გადაწყვეტილი აქვთ კასპის უპატრონო ბავშვთა სახლს გაუწიონ დახმარება.

# სალომე ყარეჯაშვილი

შეიძლება ითქვას, რომ სალომე სიმღერით აიღვანა – წლინახევრისა მშვენიერად მღეროდა, ორი წლისა ექვს ენაზე ასრულებდა სიმღერებს, სამი წლისა კი დიდ სცენაზე გამოვიდა და შუბერტის ძალზე რთული ნაწარმოები „ავე მარია“ იმღერა. უფროსებს უკვირდათ, გაცეცხლები უმზერდნენ და უსმენდნენ, გოგონა კი ყოველგვარი ძალდატანებისა და მოსაბეზრებელი შეგონებების გარეშე სიამოვნებით მღეროდა, თვითონაც ხალისობდა და მსმენელებსაც ახალისებდა.

1997 წელს შუბერტის „ავე მარია“ შესრულებისათვის სატელევიზიო კონკურსში „თაღფიონი“ ციციქა სალომე კარიჭაშვილმა რუსთაიდან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და პირველი ადგილი მოიპოვა.

მერე იყო გამარჯვებები საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებზე „ეარი-99“ (1999 წ. I ადგილი), იგივე კონკურსში (2000 წ. I ადგილი და ჟიურის სპეციალური ჯილდო „ამომავალი ვარსკვლავი“), კომპანია „რადიო საქართველოს“, რადიო „ფორტუნას“ მიერ გამართულ თანამედროვე ქართული სიმღერის რადიოაღლუშში (2000 წ. I ადგილი და წოდება „ქართული ესტრადის მომავალი“), პირველ რესპუბლიკურ კვირეულში „ჩემი ლამაზი ქვეყანა“ (2001 წ. ლაურეატობა), საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებზე „ეარი-2001“ (უმალესი ჯილდო „წლის საუკეთესო მომღერალი“). გარდა ამისა, შარშან ცნობილმა ქართველმა დიზაინერმა აბრამ ბაზელმა პატარა სალომე „ბაზელის სტილის“ აკადემიის ორდენით დააჯილდოვა.

ამჟამად სალომე კარიჭაშვილი სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული ათწლეულის მეორე კლასის მოსწავლეა (ფორტეპიანოს კლასი) და გატაცებითა და სიამოვნებით ეუფლება კლასიკას. მისი ნიჭის, შრომისმოყვარეობის და მუსიკის დიდი სიყვარულის გათვალისწინებით პედაგოგებმა თავიდანვე საკმაოდ რთული ნაწარმოებები შეურჩიეს შესასწავლად. მაგალითად, შარშან პირველკლასელმა სალომემ შუმანი, ბეთჰოვენი, შუბერტი დაუკრა. გოგონამ მუსიკალური ათწლეულის კონკურსშიც მოასწრო გამარჯვება. მოგვიანებით კი

როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლეს, კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართული ათწლეულის მოსწავლეთა საჩვენებელი კონცერტის გახსნაც მას მიანდევს.

ეს რაც შეეხება სალომეს „მოღვაწეობის“ მუსიკალურ სფეროს. ახლა დრამატულ მსახიობ სალომე კარიჭაშვილზეც ვისაუბროთ. ხუთი წლის სალომე ქ. რუსთავის თოჯინების თეატრში იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოების „იავნანამ რა ჰქმნას?“ მიხედვით



დადგმულ სპექტაკლში მიიწვიეს ქეთოს როლზე და მან ამ თეატრში ეს როლი 28-ჯერ ითამაშა. მერე, როცა იგივე სპექტაკლი თბილისში მ. კოსტავას სახელობის თეატრშიც დაიდგა, ქეთოს როლი კვლავ სალომეს მიანდევს და მანაც ღირსეული პარტნიორობა გაუწია პროფესიონალ მსახიობებს. მაყურებელი პატარა მსახიობის არტისტულობით მოიხიბლა, უფროსმა „კოლეგებმა“ კი ამასთან ერთად მკაფიო, ბუნებრივი მეტყველებაც ძალიან მოუწონეს. ისე გაითავისა სალომემ მშობლებს მოწვევტილი, მერე კი ისევ მათთან დაბრუნებული ქეთოს როლი, ისე ბუნებრივად გამოხატავდა ნორჩი მსახიობი თავისი გმირის განცდებსა და გრძნობებს, რომ მისი დამაჯერებლობის ბარემ ბევრ პროფესიონალს შეშურდებოდა. გოგონას არტისტული ნა-

ტურის კიდევ ერთი გამოვლინება, მისი ხალასი ნიჭის კიდევ ერთი წახნავი ხატავს. დიან, ყველაფერთან ერთად სალომე საცენო სფეროდანაც დაღიან უყვარს ხატვა, როგორც კი თავისუფალი

დრო გამოუჩნდება, უმაღ ფანქარსა თუ ფუნჯს იღებს ხელში. ხატავს პორტრეტებს, პეიზაჟებს, ყვავილებს, ცხოველებს, ადამიანებს. 5 წლის სალომეს დახატული ვეფხვი უბრალოდ ზოლებიანი მტაცებელი კი არ არის, არამედ საკუთარ ძალაში დარწმუნებული, ნებიერი ცხოველია, რომელსაც გამოხედვაში სიკეთის ნატამალიც კი არ გამოუკრთის. საოცარია, სად შეიძლება იყოს ენახა ციციქა გოგონას ვეფხვი? მხოლოდ ზოოპარკში ან ტელეეკრანზე, მისი ბუნების შესახებ კი დედა თუ წაუკითხავდა ან უამბობდა. არადა, მან აკვარელის საღებავში ჩაწობილი ფუნჯის რამდენიმე მოსმით მოახერხა საოცრად ზუსტად გადმოეცა ამ მხედვის არსი. სალომე რუსთავის კულტურის განყოფილების ბავშვთა სამხატვრო სკოლაში დადიოდა. ოთხი წლისამ გამოფენაზე „ჩემი თვალთ დანახული საქართველო“ სპეციალური სერტიფიკატი დაიმსახურა. კიდევ უფრო პატარას, სამი წლისას დაუხატავს ქალის პორტრეტი – მარტო თვალები, ტუჩები, თმის აღმნიშვნელი ხვეული ხაზი და ჩვენ თვალწინ დაფიქრებული, ოდნავ სევდიანი სახეა. საინტერესოა პატარა მხატვრის ყველა დანარჩენი ნაუშეკარიც. მისი ნახატებით სულ ადვილად მიხვდებით, რომ გოგონას ძალიან უყვარს თავისი დედა, ბუნება, ცხოველები, მზე და ცისარტყელა. და კიდევ – სალომეს თურმე ძალიან უყვარს... მაკარონი, თუმცა მის ნახატებში ეს ჯერჯერობით არანაირად არ ასახულა... ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, თორემ სად სცალია სალომეს მაკარონის დასახატად, როცა ყოველი დღე ასე დატვირთული აქვს. გოგონა მოუსვენარი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. ნიჭი შრომის გარეშე არაფერია, მას მუდმივი სრულყოფა სჭირდება – ამას სალომეს დედაც უნერგავს და მასწავლებლებიც და ისიც ბეჯითობს, მეცადინეობს და ამიტომაც ყველგან საუკეთესოთაგანია.

**„ნაკადულის“ ამ ნომერში თქვენ შეგიძლიათ იხილოთ სალომეს რამდენიმე ნახატი (გარეკანის მე-4 გვ.).**

## ვლადიმერ ასლამაზიშვილი

(მოთხრობა)

ქრისტიანს გამომწვევად, გამხდარი მარჯვენა ხელი წინ გაემართა. დედას მარლის თხელი ქსოვილი გრძლად გაეწვლა და იდაყვიდან თითებამდე მიყოლებით სქლად უზვევდა ხელს.

გოგონას მკლავი დაუმძიმდა. ქსოვილის ნახვევიდან გამოყოფილ ვარდისფერ, ჩხირებივით გამწვლეველ თითებს თავისუფლად ვეღარ ამოძრავებდა, ვერც ცალფეხმოგლეჯილი თოჯინა აეყვანა იმ ხელით.

ორი დღის წინ პირველად რომ შეუხვია ხელი, დედას ჰკითხა: რისთვის იყო საჭირო?

– ხალხი მკლავმეხვეველს რომ გნახავს, ეგონება, რომ მოტეხილი გვაქვს და შეგიცოდებენ, ბევრ ფულს გაიმეტებენ.

მართლაც, ქრისტიანს თუნუქის ქილაში, სამათხოვროდ თან რომ დაჰქონდა, ზედიზედ ცვიოდა ხურდა ფული, ზოგჯერ ქალაღდისაც ვარდებოდა.

დედამ მარლის ვიწრო გადმოკეცილი ბოლოებამოკვანძული ზონარი გოგონას კისერზე ჩამოჰკიდა და შეხვეული ხელი ზედ ჩამოადებინა.

ქრისტიანს სინანულით ძლივს მოსწვევითა თვალი იატაკზე გამოიღწია ქვეშაგებში დატოვებულ თავის ცალფეხს თოჯინას.

დედამ და შვილმა ქალაქის გარეუბნიდან, სადაც ისინი ათეუდნენ ღამეებს, ჯერ ფეხით იარეს, შემდეგ ტროლეიბუსს გაჰყენენ.

ქრისტიანს ექვსი წლისაა. მისი ტოლები სკოლაში დადიან, მან კი ჯერ არ იცის რა არის სკოლა. დედა ამბობს, რომ ბოშებს არ სჭირდებათ წიგნი. იმას, რაც საჭიროა ბოშა გოგონასათვის, ცხოვრებისგან ისწავლის, სულაც არ არის სათაკილო, თუ ვინმეს ხელს გაუშვებს და ლუკმა-პურს იმათხოვრებს.

ისინი თითქმის ყოველდღე დადიოდნენ სამათხოვროდ. ქალაქის ცენტრში ხალხმრავალი მიწისქვეშა გადასასვლელი ჰქონდათ ამოჩეხებული. დედა ქრისტიანს გადასასვლელის ერთ მხარეს კიბეზე სტოვებდა, თვითონ მეორე მხარეს მიდიოდა.

მარტოდ დარჩენილმა გოგონამ იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა. ჩამოსუკვდებოდა ქვის მტერიან საფეხურზე, გვერდით თუნუქის ქილას მოიდგამდა და ელოდა, ვინ როდის გაიღებდა მოწყვლებას.

და ქილაც არ აგვიანებდა ხმაურს: ჩხინე, ჩხინე! – შიგ ბზრიალ-ბზრიალით ცვიოდა ბრჭყვიალა ლითონის მონეტები. ხურდა ფულის ქილაში ბზრიალ-ჩხივის ყურს უგდებდა ქრისტიანს, მას თავი დაეხარა და მოწყვნილი, უსინარულო თვალებით კიბეებზე ამვლელ-ჩამვლელ ადამიანთა ფეხებს უყურებდა.

ფეხები ზოგი ქალისაა, ზოგი კაცის. ხშირად ბავშვებიც ამობაკუნდებიან და ჩაბაკუნდებიან თავიანთი ღამაში, ნაირ-ნაირი ფეხსაცმელებით მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე. ხანდახან ქრისტიანსთან ახლოს ყოვნილებიან, სიბრალულით უყურებენ მის შეხვეულ ხელს და მშობლებისაგან ნაჩუქარ ხურდა ფულს ქილაში ყრიან.

გუშინ ქრისტიანს კბილა გოგონამ ქალაღდის ფული და კანფეტი დაულო კაბის კალთაზე. ქრისტიანს კანფეტი მაშინვე პირში ჩაიგდო, დაწუნა და ტკბილი ნერწყვის ყლაპვით გოგონას თვალი გააყოლა. ის ცისფერ კაბაში იყო გამოწყობილი, თმები ღამაზად ჩამოუვარცხნა. კიბეზე რომ ჩადიოდა, თავი უკან

მოაბრუნა, ქრისტიანს გაუღიმა და გადასასვლელის ქვეშ მიიმალა.

ქრისტიანს არც კაბა აცვია თავისი სარგო, არც ფეხსაცმელი. ერთხელ დედამ ვიღაც შავებში გამოწყობილ ქალს უკითხავა და ამ ქალმა ბავშვის გამონაცვალის თეთრი კაბა და წითელზონრებიანი თეთრი ფეხსაცმელები აჩუქა. ქრისტიანს ის კაბა ლამის კოჭებამდე სწვდება. ფეხსაცმელებიც დიდრონი აქვს, ფლახობები, გაბედულად ვერსაით გაქცეულა, ფეხიდან სძვრება. დედამ უთხრა: არა უშავს, გაიზრდები და კაბა და ფეხსაცმელები კარგად გექნებაო.

ქილა ნახვევად გაივსო ბრჭყვიალა მონეტებით. ქრისტიანს, როცა ბევრ ფულს აგროვებს, დედა აქვს, მუდამ ასე ყოჩაღად თუ მოიტკეპი, ბევრი ფული გვექნება და მაშინ დიდ და ღამაში თოჯინას გიყიდო. გოგონას სახლში მიტოვებული ცალფეხი თოჯინა გაასვენდა, ამოიხრია, მასთან თამაში მოუწია. მაგრამ რა ქნას? ეგ კი არა, წყალი რომ მოსწყურდება, მანამდე უნდა მოითმინოს, ვიდრე დედა არ მოვა მის წასაყვანად.

ქრისტიანს ბავშვური ფიქრები გადასასვლელში ჩამოფრენილმა პეპელამ შეაწყვეტინა. პეპელა კვერცხის გულივით ყვითელი იყო, ყავისფრად ფრთებმოხატული. გოგონამ თვალი შეასწრო და სახე გაოცოცხლდა. პეპელა მასთან ახლოს მოფრინდა და მის ცხვირწინ ფარფატი დაიწყო. ქრისტიანს ფართოდ გახელილ თვალებში სიხარულის შუქი ჩაუდგა. მარლის ზონრიდან შეხვეული მკლავი სწრაფად გამოიღო და ორივე ხელი პეპელასკენ გაიწოდა. ვერ მიხსწვდა. ფრთახატულამ უცებ უგანა, მიწისქვეშა გადასასვლელში ჩაფრინდა. ქრისტიანს ადგა, გრძელი, თეთრი კაბის ფართოხუნით და ფეხსაცმელების ბრახუნით ქვის კიბეები ჩაირბინა, პეპელა მოულოდნელად უკან გამოფარფატდა მისკენ ხელგაწვდილ ყმაწვილს თავზე გადაუარა და კიბეებს ფრენით აჰყვა. ქრისტიანს სწრაფად შემობრუნდა. გრძელი კაბის კალთა ცალი ხელით აიწია, მეორე წინ გაიწოდა და პეპელას გამოეკიდა.

ზევით ქუჩის პირამდე მისდია. ვერ მისწვდა, ვერ დაეწია. პეპელამ მანქანებით სავსე, დიდ ხმაურიან ქუჩას გადაუფრინა და მწვანით დაბურულ ხეებს მიღმა გაუჩინარდა.

გულდაწყვეტილი გოგონა იდგა ქუჩის პირას და თვალი ვერ მოეცილებინა იმ ადგილისათვის, სადაც პეპელა მიიმალა, ასე ეგონა, ისევ შემობრუნდებოდა მისკენ.

თმის კულული ვიღაცამ მაგრად, მტკივნეულად მოქაჩა, ისე შეუბრალებლად მოსწია, ქრისტიანს იყვილა, ორივე ხელი თმებზე იტაცა. მარტო თმის ქაჩვა არ აკმარეს, მიაბრუნეს და გამხდარ ლოყაზე სილა გაჰკრეს. გოგონამ სილის გამრტყმელს შემინებული, ცრემლმორეული თვალებით შეხედა, პოლიციელი ეგონა, დედა იყო. ქალს სახე გამკაცრებოდა, პირი მაგრად მოეკუმდა და მუნჯად ქცეულიყო. ხმას არ იღებდა. გოგონას მარტო შეხვეული მკლავი ზონარზე სწრაფად ჩამოედო, კისერში თითები მარწუხებივით ჩასჭიდა და მიწისქვეშა გადასასვლელის კიბისკენ უბიძგა.

თუნუქის ქილა ისევ იქ იდო, ფეხსაცმელებიც იქვე ეყარა. სადაც ქრისტიანს მიატოვა. გოგონა ქვის საფეხურზე ჩამოჯდა. თავი დახარა და ჩუმად ატირდა.

ზევით კი, სადაც, მანქანებით სავსე ქუჩის მიღმა, მწვანით დაბურულ ხეით შორის ყვითელი, ფრთახატულა პეპელა დაფარფატებდა.



### რვა წლის მხარაღი

რვა წლის უზბრელმა გოგონამ ენიკე რიდემმა გამოსცა თავისი მოთხრობების პირველი კრებული „მე ზღაპრულ სამყაროში ვცხოვრობ“. ენიკეს მშობლები პედაგოგები არიან. გოგონამ წერა-კითხვა სამი წლის ასაკში ისწავლა. მას შეეძლო საათობით ესმინა ზღაპრები, რომლებსაც ბებია უყვებოდა და უკითხავდა. ამ ზღაპრების პერსონაჟები შემდეგში მისი მოთხრობების გმირები გახდნენ. ენიკეს მოთხრობებში მზიანი დილით მოგვრილი სიხარულიცაა, გაწბილების ტკივილიც და სევდაც, სითბოც, ალტაცებაც და სიყვარულიც.

## სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

### ცხრა წლის ალჰინისტმა კილიმანჯარო დანიჰრო

ცხრა წლის ჯოშუა შუმახერი მამასთან და პაპასთან ერთად აფრიკის უმაღლეს მწვერვალზე კილიმანჯაროზე (5895 მეტრის სიმაღლე) ავიდა. თვითონ პატარა ალპინისტი ასე ყვება ამ ექსპედიციის შესახებ: „შვეულ მთაზე ასვლა ძნელი იყო, ჩვენ ნელა მივიწვედით წინ, რათა ორგანიზმი სიმაღლეს და სიცივეს შეჩვეოდა, ბოლო მონაკვეთზე მომეჩვენა, რომ წინ ვეღარ წავიდოდი, მაგრამ როცა ყველასთან ერთად კილიმანჯაროს მწვერვალზე შევდგი ფეხი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა“.

## მექსიკა

### დედა ყველგვარს ინტერნეტით გაიგავს

მექსიკაში ბევრმა მშობელმა შვებით ამოისუნთქა: ამიერიდან მათ აღარ მოუწევთ სკოლაში მისვლა და მასწავლებლის საყვედურების მოსმენა შვილების საქციელთან თუ სწავლასთან დაკავშირებით. ნიშნების შემოწმება და პედაგოგებთან საუბარი ახლა ინტერნეტის საშუალებითაც შეიძლება. განათლების სამინისტროს მიერ ინტერნეტში ახლახან გახსნილი გვერდის წყალობით მშობლებს საშუალება ეძლევათ მიიღონ სრული ინფორმაცია შვილების წარმატების შესახებ და პასუხი სავალდებულო საგნებთან და დამატებით მეცადინეობებთან დაკავშირებულ კითხვებზე. პირველ ეტაპზე ვირტუალური მომსახურებით ისარგებლებენ მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქის, მეხიკოს მცხოვრებნი, სადაც თითქმის 8 ათასი სახელმწიფო და კერძო სკოლაა.

### სათამაშოების გამოფენა

ნიურნბერგში გაიხსნა სათამაშოების დიდი საერთაშორისო გამოფენა. ტრადიციულად ყოველი წლის თებერვლის დასაწყისში ეს გერმანული ქალაქი მსოფლიოს სათამაშოთა დედაქალაქი ხდება. ნიურნბერგელმა ოსტატებმა ჯერ კიდევ XIV საუკუნეში დაიწყეს თიხისა და ხის თოჯინების კეთება, რომლებმაც მთელ ევროპაში გაითქვა სახელი, გასული საუკუნის დამდეგს კი ქალაქში 243 სათამაშოების ფაბრიკა იყო.

წლებანდელ გამოფენაზე ტრადიციულ სათამაშოებთან ერთად ვირტუალურ გმირთა ფიგურებიც არის წარმოდგენილი.

## შვედეთი

### გარდაიცვალა „პეპის“ და „კარლსონის“ ავტორი

95 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი შვედი მწერალი, „კარლსონის“, „პეპიგრძელიწინდას“, „ჩვენ სალტაგროვიდან ვართ“ და მთელი მსოფლიოს ბავშვთა საყვარელი სხვა წიგნების ავტორი ასტრიდ ლინდგრენი.

## უკრაინა

### ფეხბურთის გაკვეთილები სკოლაში

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის წინადადებით ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამაში შეიტანეს ფეხბურთის გაკვეთილი.

სადღეისოდ ახალი საგანი „ფეხბურთი“ 7 ათასამდე სკოლაში ისწავლება. ფეხბურთის გაკვეთილებზე გოგონები მძლეოსნობაში ვარჯიშობენ, ზოგი მათგანი კი ბიჭებთან ერთად ეუფლება ფეხბურთის საფუძვლებს. უკრაინული ფეხბურთის აღორძინებაზე მზრუნველთა ძალისხმევით, ნორჩი ფეხბურთელებისათვის ტელევიზიამაც დაიწყო საგანგებო პროგრამის („გოლი“) გადაცემა და ერთ-ერთმა საბავშვო ჟურნალმაც („ბარვინო“) შემოიღო სპეციალური გვერდი.

## დიდი ბრიტანეთი

### 5 მილიონი გაცდენილი სასწავლო დღე

14-16 წლის 10 ათასამდე მოსწავლე რეგულარულად აცდენს სკოლას, ამასთან ეს, როგორც წესი, მშობელთა თანხმობით ხდება. ქვეყნის განათლების სამინისტროს მონაცემებით, გასულ სასწავლო წელს ბრიტანელმა მოსწავლეებმა 5 მილიონი სასწავლო დღე გააცდინეს, აქედან 80 პროცენტი ოჯახის უფროსი წევრების თხოვნით ან ნებართვითაა გაცდენილი.

## მეგობარმა ზურგი მამცინა

მე და თაკო მეზობლები ვახით, ჰატახაობიდანვე ვმეგობრობით. ის ჩემზე ოიხი წლით უფროსია, მაგჩამ ერთმანეთის ყოველთვის კახგად გვესმოდა, სჯოლამიც ყოველთვის ერთად მივდიოდით, თავისუფად დიხსაყ ერთად ვიყავით ხოლმე. მეხე თაკომ ჯოლეჯში გააგჩქელა სწავლა და მას შემდეგ ჩვენი ერთი-ერთობა ხალაცნაიხად შეიცვალა. თაკო გამიხბის, ახალი მეგობრები გაიჩინა, მე კი თითქოს ზვიდან მიყუხებს. ძალიან განვიციდი, ბე-ვიჯეხი ვიფიქე, ხამე ხომ ახ ვა-წყენინე-მეთი, მაგჩამ ნამდვილად ახადეხი მინყენინებია.

### სოფო, 14 წლის

სოფო, ცხადია, გულსატკენია, რომ შენი და თაკოს ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა, მაგრამ გვიდა დაგამშვიდოთ და ვცადოთ, აგი-ხსნათ, რა მოხდა. შენ გეწერ, თაკო ჩემზე ორი წლით უფროსიაო, ე.ი. იგი 16 წლის ყოფილა. ეს კი იმას ნიშნავს, მან უკვე გადადგა ერთი ნაბიჯი ბავშვობიდან, იქ, კოლეჯში, თავისი თანატოლები და მასზე 1-2 წლით უფროსი გოგონები და ბი-ჭვები სწავლობენ. ასაკის და არჩე-ული სპეცილობის გამო მათ სა-ერთო ინტერესები გაუჩნდათ, ახალი სამეგობრო ჩამოუყალიბდათ. შენ კი მისთვის ბავშვობაში დარჩი, თუ-მცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თქვენი კარგი ურთიერთობა არ აღდგება, თაკო მალე თვითონვე მი-ხვდება, რომ თავისზე უმცროსთან თავისუფლად შეიძლება მეგობრო-ბა. გულს ნუ გაიტეხ და ნურც წყე-ნას ჩაიდებ გულში. აი, ნახავ, შენ და თაკო ისევ იმეგობრებთ.


### თავს ვერ ვერევი

მახმან ჩემი მეზობლის, ელენეს დაბადების დღეზე ერთი ბიჭი გა-ვიყანი და ძალიან მომეწონა. მო-მეჩვენა, ხომ მასაც მოვეწონე. ერთად ვიყავით, ცეკვის დიხს მი-თხხა, ძალიან დამაზი თვადები გა-ქვსო. მეხე აღახ გვინახავს ერთმა-ნეთი, მე კი ძალიან მენატრებოდა. ავექი და ელენეს მისი ტელეფონის

ნომეხი გამოვახითი. თუმცა დხე-კვას დიდხანს ვეხ ვბედავი. ბო-ლოს დავუხეე, დამედაჰახა, მა-გჩამ ვეხ გამიხსენა. მეხე კი ხოცა გავახსენე, ელენესთან შევხვდი-მეთი, ცოვად დამედაჰახა. ხა ვქნა, ეყსობა, შემიყვახდა იმიტომ, ხომ თავს ვეხ ვეხევი, ხამდენჯეხმე კი-ღევ დავუხეე, ბოლოს ძალიან უხე-შად მიჰახეხა, თავი დამანებე, ხას გადამეხიდეო, მთელი დამე ვიტიხე... ახ ვიცი, ხა ვქნა, ხოგოხ მოვი-ქე...

### ნანა, 15 წლის

არ გეწყინოს და პირდაპირ გე-ტყვიოთ – თავმოყვარეობა არ გქო-ნია, ბიჭი აშკარად გაგრძობინებს, რომ არ სურს შენთან ურთიერთობა.



დაუშვათ, იმ სადამოს მართლაც მოეწონე, გეცეკვა, ქათინაურიც გი-თხრა, მაგრამ სხვებსაც ხომ ეცე-კვა და აღბათ, თუ იმ სხვებსაც ლამაზი თვალეხი ჰქონდათ, იმათაც უთხრა ქათინაური, მაგრამ ხომ არა-ფერს დაგბირებია, არაფრის იმედი მოუცია, შენ კი... რა თქმა უნდა, იმაში, რომ შენ თვითონ გადადგი პირველი ნაბიჯი, საძრახისი არაფე-რია, მაგრამ რაკი ბიჭი არ თანაგი-გრძობს, საერთოდ არ გაქცევს ყუ-რადღებას და პირდაპირ გაგრძობი-ნებს, თავი გამანებეო, შენ კი არ ეშვები, ეს უბრალოდ დამამცირებე-ლია. დარწმუნებული იყავი, შენი სა-ქციელი უფრო მეტად აღიზიანებს იმ ბიჭს. ხომ შეიძლება, რომ მას სხვა უყვარდეს, შეყვარებული ჰყავდეს.

სამწუხაროდ, ხშირად ასეც ხდება – შეიძლება ადამიანს გაგი-

შვებით უყვარდეს მეორე ადამიანი, ამ უკანასკნელს კი ასევე გაგიყე-ბით სხვა უყვარდეს. არ შეიძლება კი ყველას მოსწონდე, თუნდაც მისი ლიან ლამაზი იყო. იმედი, გააცნო-ბიერებ ამას და აკვირებული გრძობისგანაც გათავისუფლდები და, რაც მთავარია, საკუთარი თავის პატივისცემას ისწავლი.

### სარკში ჩახედვა აღარ მინდა

სახეზე საძაგელი ფეხიმქამე-ლები გამიჩნდა, ხელი ხომ მოვი-კიდე, გამილიზიანდა და ახლა მთელი სახე დამენუჯებული მაქვს. მე თვი-თონვე მეზიხლება ჩემი თავი, სა-ხეში ჩახედვა აღახ მინდა.

### მარიამი, 13 წლის

გეთანხმებით, ასეთი სახე არა-სასიამოვნო სანახავია, მაგრამ ვვი-ნდა დაგამშვიდოთ – ეს სულ ასა-კის ბრალია, შენი სხეული ვითა-რდება, იზრდება, მწიფდება და ამ პროცესში ბევრ უსიამოვნებას გა-ნიტებს. ერთ-ერთი ასეთი უსიამო-ვნებაა ფერიმჭამელები, რომელთა გაჩენას ყველაფერთან ერთად ნე-რეული სისტემის ფუნქციის და-რღვევა, ქრონიული ყაბზობა, ნი-ვთიერებათა ცვლის მოშლა, სი-სხლნაკლებობა უწყობს ხელს.

გირჩევთ – პირველ რიგში ნუ ეცდები ფერიმჭამელების თუ ჩი-რქოვანი გროვების ამოგდებას, მეტი იზრუნე პროფილაქტიკაზე. აუცილე-ბლად ყოველდღე თბილი წყლითა და გამშრობი საპნით დაიბანე პირი, მერე კი ცივი წყალიც შეისხი. ჩი-რქოვანი გამონაყარის შემთხვევაში კი უკეთესია, რამდენიმე დღე პირი საერთოდ არ დაიბანო. დღეში 2-3 ჯერ გაიწმინდე კანი სინტომოცი-ნის ან ლევომიციტინის სპირტიან-ეთერიანი, სპირტიან-გლიცერინიანი ხსნარით, სპირტიანი ლოსიონით ან 2-5 პროცენტის ქაფურის სპი-რტიო. კარგი იქნება თუ სახეს კვი-რაში 2-3 ჯერ საპნის ქაფში და-სველებული მარილმოყრილი ტამპო-ნით გაისუფთავებ. და კიდევ – და-იცავი დიეტა, ივარჯიშე და დიდხანს იყავი ჰაერზე, ყურადღება მიაქციე კუჭ-ნაწლავის მოქმედებას.

# სპორტი

დიდი ხახალეიშვილის  
ღირსეული მემკვიდრე




ბაქოში გამართულ ძიუდო-ისტთა საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზა დიდი დავით ხახალეიშვილის სეხნამ, 14 წლის ქუთაისელმა ფალავანმა დათო ხახალეიშვილმა, რომელმაც 42 კგ. წონით კატეგორიაში ყველა მეტოქეს აჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა. უმაღლეს საფეხურზე ავიდა კიდევ ორი ქართველი მოჭიდავე - ზურაბ შარვაშიძე (50კგ.) და მალხაზ ნიჟარაძე (60კგ.)

გამარჯვებულს -

500 ლარი

თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურისა და



საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით ორგანიზებულ თბილისის საერთაშორისო ტურნირში 45 მოჭადრაკე მონაწილეობდა. საუცხოო შედეგი აჩვენა 16 წლის ლევან ფანცულაიამ, მან ზედიზედ 6 პარტია მოიგო, მხოლოდ ერთი დაამთავრა ყაიმით - საერთაშორისო ოსტატ სოფიო გვეტაძესთან და ტურნირში გამარჯვებასთან ერთად პირველი ადგილისთვის დაწესებული პრიზი, 500 ლარიც მოიპოვა. 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის თბილისელმა ზურაბ ნიკოლაიშვილმა გაიმარჯვა.

# სპორტი

ტურნირი

სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთში გაიმართა ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ამ მხარის მკვიდრის, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ამირან აფრიაშვილის პრიზზე. კარგი ჭიდაობა აჩვენეს პერსპექტიულმა ფალავანებმა: ლერი თუმანიშვილმა, გი-



ორგი ნოზაძემ, ვალიკო კაკაბაშვილმა, ლერი კატეგორიაში გოგა აფრიაშვილმა, კახა კუსიანმა, მამუკა ბიგანიშვილმა, რევან ლაშხმა, იამა მიქელაძემ, ვანო მუშლაძემ და სხვებმა.


მოზარიაკავეები

საერთაშორისო

თამაშებისათვის

იგზადებიან

1985-86 წლებში დაბადებულ მოზარიაკავეთა შესარჩევ ტურნირს უნდა გამოეყვინა ის სპორტსმენები, რომლებიც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების იუნიორთა საერთა-



შორისო სპორტულ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. თამაშებისათვის მზადების პირველ ეტაპზე გაიმარჯვეს: რაპირ მადონა ჩაბრაძემ და სერგეი ბრაკალოვმა, დაშნა - ხატია თევდორაძემ და გიგი სილაგაძემ, ხმალი - ირაკლი ზამბახიძემ. ნორჩ მოზარიაკავეებს აპრილ-მაისში კიდევ ერთი შესარჩევი ტურნირი ელით.

# სპორტი

# დღეს პირველი აპრილია...

საქართველო  
საბჭოთაო

პირველი აპრილი ერთი ჩვეულებრივი გაზაფხულის დღეა, რომელიც თითქოს არაფრით განსხვავდება წლის დანარჩენი 364 დღისგან, მაგრამ რატომღაც სწორედ ამ დღეს ხუმრობენ და ამასხარავებენ ერთმანეთს ადამიანები მთელ მსოფლიოში. ის კი არა, ზოგ ქვეყანაში პირველ აპრილს საკუთარი სახელიც გამოუმტნენ. მაგალითად, ინგლისელები მას „დოვლაპიების დღეს“ უწოდებენ, ფრანგები – „აპრილის თევზს“, არგენტინე-

ორკის ვაზეთში „სან“ დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ ასტრონომმა ჯონ ჰერშელმა ააგო უჩვეულო ტელესკოპი, რომლის მეშვეობითაც აღმოაჩინა, რომ მთვარეზე მცენარეებიც არის და ცხოვე-

პარიზში დაშალეს ეიფელის კოშკი. ამასთან სტატიას თან ახლდა ფოტოსურათები. სურათები კი ნამდვილი იყო, მაგრამ ჟურნალის ის ნომერი პირველ აპრილს გამოვიდა, თავის დროზე კოშკის აგებისას გადაღებული ფოტოები კი უკუთანმიმდევრობით იყო დაბეჭდილი.

კიდევ უფრო შემადრწუნებელი ცნობით „გაახარეს“ თანამემამულე რადი-



ლები – „გულუბრყვილობა დღეს“ და ა. შ. როგორ და როდის გაჩნდა ეს მხიარული ტრადიცია?

ამ ტრადიციის მამამთავრობას ფრანგები ჩემულობენ. მეფე შარლ IX გამოსცა ბრძანება, რომლითაც ახალი წლის დასაწყისი პირველი აპრილიდან პირველი იანვრისთვის გადაიდო, ყველა, ვინც საახალწლოდ ანუ პირველი აპრილისთვის საჩუქრებს ელოდა, მოტყუებულ-გაწიბილებული დარჩა. როგორც ამბობენ, გონებაშავილ ფრანგებს სწორედ მას შემდეგ გამოუცხადებიათ პირველი აპრილი ხუმრობების დღედ. მეორე ვერსიით კი, მეფე არაფერ შუაში ყოფილა. უბრალოდ, პირველ აპრილს იწყებოდა თევზაობის სეზონი, ხოლო ცვალებადი ამინდის გამო მეთევზეები ამ დღეს ხშირად ხელცარიელები ბრუნდებოდნენ, ამიტომაც შეარქვეს ფრანგებმა ამ დღეს „აპრილის თევზის დღე“.

თუმცა ჯერ კიდევ ძველი რომის ხანაში არსებობდა „უგუნურობის დღესასწაული“ – „ფესტუმ სულტორუმ“, რომლის დროსაც თითოეულს უფლება ჰქონდა მეგობარი გაემასხარავებინა და ზოგჯერ ძალიან სასტიკადაც.

ჩვენს დროში ამ ხუმრობებმა ახლობელთა ვიწრო წრე გადალახა და ლამის საყოველთაო ხასიათი მიიღო. მაგალითად, 1834 წლის პირველ აპრილს ნიუ-




ლეიცი, მთ შორის ღამურას ფრთებიანი უზარმაზარი მაიმუნები. ათასობით ამერიკელმა დაიჯერა ეს ამბავი და კარგა ხანს ვერ შეეჩვია იმ აზრს, რომ ეს სააპრილო ხუმრობა იყო. რამდენიმე წლის შემდეგ კი ერთ-ერთმა პოლონურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, კრაკოვის სიახლოვეს აღმოჩენილი იქნა გიგანტური დრაკონის ჩონჩხი და ეს სწორედ ის დრაკონი იყო, რომელსაც გადმოცემით, ქალაქის დაარსება უკავშირდება. ეს სენსაცია მარტო პოლონელებმა კი არ დაიჯერეს, იგი მრავალ უცხოურ ჟურნალსა თუ გაზეთში გადაბეჭდეს. იუმორის გრძნობით გამორჩეულმა ინდოელებმა კი პირველ აპრილს პრესის მეშვეობით გაავრცელეს ცნობა, რომ იოგმა კრიშნა ბაპადურ სინგამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა – რვა საათი დაჰყო პიტონის კუჭში, რის შემდეგაც საღ-სალამათი მოვედინა ქვეყანას. ეს ხუმრობაც უამრავმა ადამიანმა დაიჯერა. საპირველაპრილო ხუმრობების დიდი მოყვარული ყოფილა რუსეთის მეფე პეტრე I. ერთხელ მისი ბრძანებით გამოუცხადებიათ, რომ 1 აპრილს თეატრში გამოვიდოდა აკრობატი, რომელიც ნეკა თითით ასწევდა ზარბაზანს. როცა ფარდა აწეულა, ცნობისმოყვარე მაყურებლებს დაუნახავთ უზარმაზარი დაფა წარწერით „დღეს პირველი აპრილია. პეტრე I“.

სამშენებლო ტექნიკის სპეციალობის ერთმა გერმანელმა ჟურნალმა კი პირველ რიგში ფრანგები გააოგნა. ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია იმის შესახებ, რომ



ომსმენელები ტოკიოს რადიოს თანამშრომლებმა. ადრიანი დილით მათ გადმოსცეს, რომ იოკაჰამას პორტის რაიონში ოკეანიდან ამოვიდა ურჩხული, რომელიც დედაქალაქისკენ მიემართება. რადიო ყო-



ველ 25 წუთში წყვეტდა გადაცემებს და მსმენელებს ურჩხულის გადაადგილების, მის მიერ გამოწვეული ნგრევისა და არმიისა და პოლიციის მიერ მიღებული ზომების შესახებ აცნობებდა. ქალაქში საშინელი პანიკა ატყდა, როცა ათასობით შეშინებულმა იაპონელმა სახლები დატოვა და ქუჩებში გამოვიდა, რადიოდან გაისმა: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია!“



ფლომსერი

მარიამ მნახაშვილი,  
კასპის რაიონის  
სოფელ სასირეთის  
სამუალო სკოლის  
მეთე კლასის  
მოსწავლე



### ატირაბული სახლები

პირველად ამოუთქვამ ჩვენს გულის წუხილს, მაგრამ რა ექნა, აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია ჩემი ასეთი დასახინრებული. სილუეტის ფურება. ეკ, ღმერთო არ დაგვაცადა დაემტკბარიყავით ჩვენი ახალი კოწია კაბებით. ჩვენ იმ პატარა გოგონას ვგავდით, რომლის სიხარულსაც საზღვარი არა აქვს, როდესაც მშობლები ახალ, კოპლებიან კაბას უყიდიან, მაგრამ არ დაგვაცადა უგულო ადამიანმა, დაგვანგრია, გაგვანადგურა, მიწასთან გაგვასწორა. რას ვუშლიდით ჩვენ, უენო სახლები, სოფელ გუმბათის ვიწრო ქუჩების სილამაზისთვის ერთ ქვას ხომ მაინც ვდებდით. მამლის ყვილი და ძაღლის ყვფა გვენატრება, თვალს ვერ ვუსწორებთ კარგად მოვლილ სახლებს, რადგან გვეშინია მათი დამცინავი თვალებისა, რომლებიც გვეუბნებიან, რატომ არ ისმის და არ ინთქმება უსასრულო სივრცეში თქვენი დასახლების ფეხის ხმაო. ის კი არ იციან, რომ ისედაც ცეცხლოვანდებულ გულზე ნავთს ვეასხამენ.

ეკ, ადამიანო, შენი საქმე ავი ძალღიეთათა, რომელიც არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს. არც შენ იცხოვრებ ბავშვის ტყეტიც მონატრებულ ჩვენს კედლებში და არც ჩვენ მოგვეცი საშუალება ხელი გაგვეწოდებინა უსახლკაროდ დარჩენილათვის, რათა წაღკის სუსხიან ქარსა და ყინვას ვერაფერი ენო. იმის მაინც არ გეშინოდათ. რომ ოდესმე ღმერთის წინაშე უნდა გვეოთ პასუხი? ნუთუ გული არ აგიწყვით ჩვენმა დაქორბულმა ფანჯრებმა? რას შეგმატებდათ ის ერთი ქვა, თუნდაც, ერთი ფიცარი?! იმ ფიცარს შენ ღუმელში წვავ, სხვა კი უფანჯრო, უკარო სახლში სიცვიისაგან მოკრუნხული ათ ხელ თბილ ტანსაცმელს იცვამს, რათა არ შესცივდეს, შენ კი კაბიკებად იყიდი იმას, რაც სხვას ასე სჭირდება.

ბერჯეერ გაგვივარდია თქვენგან უსულო სახლიო, მაგრამ არა, ძალიან ცდებოთ, ძალიან... ეს თქვენზე უფრო ითქმის, ვიდრე ჩვენზე. ადამიანს სული კი გააჩნია, მაგრამ გული? გული თითქოს უსასრულო სივრცეში ჩაყლაპა. ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ უსუნო ყვავილისა არ იყოს, ერთმა ყველას მოსცხე ჩირქი.

### ამაო ბრძოლა გულთან

- გამარჯობა, ყოჩივარდავ!  
- ჰიპ, უყურე ერთი, მესალმება კიდევ, შენთან ლაპარაკილა მაკლდა, ფრთხილად, მეტიხარავ, ფრთხილად, ეგ მოპორუწკული კაბა ეკალს არ გამოსოდ!  
იამ თავი ჩაღუნა. გული ეტკინა, მაგრამ არაფერი უთქვამს.  
- ამ ამპარტაჟანს დამიხედე, რა, მასზე უკეთესი კაბა აცვია? შეხედე კოწიას, რა საყვარელია თავისი ლურჯი, სიფრიფანა ფურცლებით. სიმართლეს გეტყვი და ძალიან შემაყვარა თავი. რა თავმდაბალია, რა ლამაზი, - გადაულაპარაკა ფურისულამ ტყის ტიტას.  
- შურს. მაგ საცოდავს სურნელიც კი არ გააჩნია. მართალია, არც ეგ არის უშნიო, მაგრამ იის მხოლოდ საამო სურნელი უდრის მის მთლიან მორთულობას.  
- მართალი ხარ, მართალი, - ჩაება ლაპარაკში წიფელი, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა და მცხუნვარე მზის სხივებისაგან იცავდა მათ.  
ია კი ამ დროს თავისთვის ფიქრობდა: ღმერთო, რით ვიმასხურებ ასეთ მოპყრობას, ნუთუ ვერ ვისწავლი ჭკუას? სულაც ზედ არ შეგხედავ, არც გამარჯობას ვეტყვი, მეც დაეცინებ, დავამცირებ, მაგრამ უბედურება ეგ არის, რომ არ შემიძლია. რა შურს ჩემი, რატომ მეპყრობა ასე? ღმერთო რაც მიბოძა, ის მამადაა, მაგრამ მაინც მიხარია, მიხარია, რომ სიკეთის გრძობა გამაჩნია, შემიძლია სხვას თანაუგრძობო. რატომ ჰგერის სიამეს სხვას, ტანჯვა? არა, ახლა ჭკუა უნდა ვისწავლო, ისე მოვიტყევი, თითქოს სულაც არ გამივიდა მისი პასუხი და არც არაფრად ვაგდებ, თორემ უარესს მიხამს.  
ამ დროს ყოჩივარდას ეკალმა უჩხვლიტა, მან კი ხმაძალიან ტირილი მორთო.  
- რა ცილია! - გაიფიქრა იამ და გადაწყვიტა გამოლაპარაკებოლი, დაემშვიდებინა. მაგრამ არა, უცებ გაახსენდა თავისი პირობა და თავი მოაბრუნა.  
ყოჩივარდა კი ამ დროს ეკალს საყვედურობდა, ლამაზი კაბა რატომ დამიხიო. ეკალმა შეუდრინა და უარესად უჩხვლიტა. ისიც უფრო გულსაკლავად ატირდა.  
ია ვედარ მოერია საკუთარ გულს და მეზობელს გამოეხმაურა, დამშვიდება დაუწყო. ყოჩივარდამ კი მისი ხმის გაგონებაზე ერთი ისეთი შეუკვილა, საბრალოს შიშისაგან ლამის გული გაუსკდა. ცრემლები ახრჩობდა, უკვე მერამდენედ, უკვე მერამდენედ, - ფიქრობდა იგი - ახლა კი ნამდვილად აღარასოდეს გავცემ, ხმას, ზედაც არ შეგხედავ!.. ამას კი ამბობდა, მაგრამ იცოდა, რომ ამოდ ებრძოდა საკუთარ გულს. იცოდა, რომ იგივე სცენა მომავალშიც განმეორდებოდა და აცრემლებული ღმერთს ჰყვედრდა ასეთი ბუნებისა რატომ გამაჩინო.

### ნიმო ჩარაპიანი

თბილისის მე-15 სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა. ნიმო ჩარაპიანის ცოდნაზე ორენობის, თუმცა მომღერლობაზე უნდა. ერთ-ერთი „ქუჩის ზიჯის“ - ზურა ხაჩიძის თაყვანისმრეშელია და ძალიან უნდა მისი გაცნობა.



### საჩუქრები ინგლისელი თანაცოლებს

იმ დღის მოლოდინში ყველა ერთნაირად დედავდა - ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სახლის ესპერანტოს კლუბ „ფლოროს“ ბავშვებიც და ხელმძღვანელებიც. ფუსფუსებდნენ, ემზადებოდნენ, იმეორებდნენ საკონცერტო ნომრებს. უფრო დიდი კონცერტებიც ჰქონიათ, უფრო დიდ სცენაზეც გამოსულან, უფრო მეტი მსმენელი თუ მაყურებელიც ჰყოლიათ, მაგრამ ის დღე მაინც განსაკუთრებული იყო. ესპერანტოსტები სტუმრად ინგლისის საელჩოს წარმომადგენლებს ელოდნენ, რომლებსაც მათთვის ინგლისელი თანაცოლების მიერ გამოგზავნილი საჩუქრები უნდა გადაეცათ.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ქალბატონ ლამარა ცუცქერიძის აღსაზრდელებმა ამჯერადაც ისახელეს თავი. კონცერტი ლოცვით დაიწყო, მერე ბავშვებმა შეასრულეს „ფლოროს“ ჰიმნი, იცეკვეს, იმღერეს სიმღერები ქართულ და ესპერანტო ენაზე, მერე სტუმრების საპატივცემულოდ ორი ინგლისური სიმღერაც შეასრულეს.

კონცერტის შემდეგ სტუმრებმა განსხვავდა საჩუქრებით სავსე ყუთები და გოგობსა და ბიჭებს ინგლისელი ბავშვების საჩუქრები დაურთვეს. ლამაზად შეფუთულ კოლოფებში საჩუქართან ერთად იდო ინგლისელი მოსწავლეების მისამართები, გვარი და სახელი. ისე რომ „ფლოროს“ წევრებს შეუძლიათ მისწერონ, მადლობა გადაუხადონ და დაუბეჭდონ მათ.



ფლომსერი

# „მზებზბზნდ“

## თავაზ ზიზილური

პირველად ეს სიტყვა გიორგი ლეონიძის „ნატურის ხეში“ ამოვიფიქრე, მანამდე არ გამეგონა. გიორგი ლეონიძე ხომ დიდი მოყვარული იყო „მუხლადი, ბედაური, მაძლარი“ სიტყვისა. ამბობდა: ეს ჩემი სიტყვა გაზაფხულის დილიდან არის გამონაწერი, იმ წყაროებიდან გამონაწერი, რომელთა თავზე მდგარ ნივთებზეა ხეივანში გულყვითელი „ბიჭო-გოგას“ მომხატვრობა. სიტყვები იმ ლურჯთვალა იეზში მიპოვნია, ჩვენს მიდამოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყაოვარულ ჯეჯილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივმოსილი სიტკბოებითა და იღუმალეებით.

იქვე იგონებს პოეტი: დედაჩემი ყოველ გაზაფხულზე წავიყვანდა ხოლმე ყანის დასახედადო.

„ვიდექით, ვუმზერდით მოღალანე ყანას და თვალს ვერ ვაშორებდით.

მომხიბლავი იყო თავანკარა, დათავთავებული, მზით ამოვსებული მაძლარი ყანა, ცხრაფრად რომ ლივლივებს ნიავის შექროლებზე. „მზეკაბანი“ ჰქვია ყანაზე მზიანი ნიავის გადაცურება-გადალივლივებას. მზის ათასფერი კაბა ფრიალებდა, ბრიალებდა სასვე მინდორზე!

მოწიწებით ვიდექით ჩუმიდ გარინდებულნი, ადამიანისა და ბუნების – შრომისა და შემოქმედების ამ საოცნებო ზღვის წინაშე, შევყურებდით, ვხარობდით, ამაგს ვკრძნობდით და გულში კაცობის ნათელი დგებოდა!

მახსოვს, საახალწლო თონეში ჩემთვისა და ჩემი ძმებისათვის ნაზუქთან ერთად ცხებოდა: ბასილა, პურის გუთანა, ბარები, წაღლები, ცულები, ჭიგოები! მაგრამ ყველაზე მეტად კი პურის ხმლები! გოგოებიც არა რჩებოდნენ უპატიოდ; მათთვისაც აცხობდნენ: პურის ჯვრას, თითისტარს, პურის ძუძუს, ქათმის კლანჭს.

ყოველივე ეს ბავშვობიდანვე შთაგვაგონებდა შრომის სიყვარულს.

თუმც ჩემთვის დედას კალამი არ გამოუცხვია, მაგრამ ასე მეგონა, პურის კალამი მიჭირავს ხელთ და იმ ქართული პურის მადლითა და სიმართლით ქალაქზე გადამაქვს ის, რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშობელმა ხალხმა“.

აქ ნათლად და პოეტურადაა ნათქვამი პურის მადლზე, პურის სიდიადეზე, პურის მომყვანის შრომაზე, აბა ისევე ჩაუფიქრდეთ: ყანაზე მზიანი ნიავის გადალივლივებას „მზეკაბანი“ ჰქვიაო. ამ სიტყვის თავდაპირველ მთქმელს ყანა და ყანის ლივლივი თვით დიდ მზესთან დაუკავშირებია. ყანა შრომისა და შემოქმედების საოცნებო ზღვაცაა და მის შემხედვარეს გულში კაცობის ნათელი ჩაუდგებაო, ანუ ყანის მოყვანა მხოლოდ კაცურ შრომას შეუძლიაო. პურის კალამი მიჭირავს ხელთო, ანუ პური მარტო „ჭამადი“ კი არ გახლავთ, შემოქმედებით შრომასაც შთაგვაგონებს, რაკილა პურს თავისი მადლი გააჩნია და თავისი სიმართლეო.

**„დედამ პური მოიტანა“.**  
**„ბიჭი პურის მოსატანად გავზავნეს“.**

**„პური სახვავლიოდ შევიხვებო“.**  
**„ღღეს პურის რხონა გვაქვს“.**  
**„ოსტატს პური ვაჭამეთ“.**

„სტუმარს პურ-მარილით შევხვდით“.

ამ სიტყვებში არის რაღაც სხვა, უფრო დიდი შინაარსი, ვიდრე მის ყოველდღიურობაში მოჩანს. ძალზე ჩვეულებრივი ამბავია; დედამ პური მოიტანაო. მაგრამ წუთით წარმოვიდგინოთ: აბა დედამ არ მოიტანოს პური, აბა ვერ იშოვოს პური, აბა საქმეარი გახდეს პური... თქვენ ეს ამბავი გაშორით, მაგრამ კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მრავლად ახსოვს უპურო და უმოსავლო წლები,



უმოსავლოდ და უპუროდ დარჩენილი სოფლები და ქალაქები, ერთი გოჯი პურის ზღაპრული ფასი, ვიფიქრებო. რისათვის დაღვრილი იყო „დედა“ ნთხეული სისხლი, სამეფოთა და სამთავროთა ქიშპობა და შუღლი.

მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში, ჟამთააღმწერლის სიტყვით, მეფე დემეტრე მეორე-თავდადებულის შვილს დავით მეექვსეს, რომელმაც „თავისი თავის გადარჩენას მრავალი უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე ანაცვალა და ქვეყანა მონღოლების გასანადგურებლად აქცია“, აღმოსავლეთ საქართველო იქამდე მიუყვანია, რომ „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე“. როგორც დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი განმარტავს, „ამის ბუნებრივ შედეგად 1301 წ. საშინელი სიმშინლობა მოჰყოლია და თურმე „იქმნა პურისა მოკლება“ იმდენად, რომ „ყოვლადვე არა იპოვებოდა სასყიდლად დიდითა ფასითაც კი“. კიდევ კარგია, განაგრძობს მეისტორიე, საქართველოს ბელელი – მესხეთი ამ საშინელი აოხრებისაგან ხუთი წლის განმავლობაში არ დამზიანებულა და ამის გამო იქ, სამცხეში „იპოვებოდა პური სასყიდლად“. ამან ოდნავ მაინც შეუშუბუქაო ხალხს თავს დამტყდარი უბედურება და ამიტომაც „უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხესო“.

პურისადმი მოყვარულულ პატივისცემას მხოლოდ ჟამთა სიავე როდი უღვივებდა ხალხს. როცა იტყვიან „პური არსობისაო“, გულისხმობენ მის შეუცვლელ როლს ადამიანის ცხოვრებაში. პურს ისევე უმთავრესად და უპირველესად წარმოაჩენენ, როგორც ჰაერსა და წყალს, როგორც მზის სითბოსა და მიწის მადლისაგან ნაბოძებ სიკეთეს. მაგრამ თუ მზეს მართლაც შეუძლია სითბოს ბოძება, მიწას კი „მადლისა“, პურს ადამიანი თავისი მოუღლეელი შრომით, წლიდან წლამდე გაწეული ჯაფით მოიწევს ხოლმე დედამიწაზე და ამ მოწეულ ნაშრომსა და ნაჯავს „ჭირნახულს“ უწოდებს.

ამ სიტყვასაც დაუფიქრდეთ: „ჭირნახული“... ანუ ოფლის ღვრით, მცდელობით, ბრძოლით მოპოვებული რამ, „ჭირნახული“, ანუ იგი, რაც დაკავშირებულია ჭირთან. ჭირი კი ძველთაგანვე ნიშნავს „მწუხარებას“, „სალმობას“, „ტკივილს“, „გუემას“, „გარჯას“, „ვნებას“, „გაჭირვებას“...

გავიხსენოთ ქართული ხა-





# „მშაქი“

ლხური სიმღერები — „ოდოია“, „ხელხავი“, „გუთნური“, „კალოსპირული“ და სხვანი. ამგვარ სიმღერებს „შრომის სიმღერებს“ უწოდებენ და ისინი მრავლად შემოინახა ხალხმა. ეს მართლაც და შრომაში — მკაში, გუთანში, კალოში დაბადებული სიმღერები სადიდებელია ხენისა თუ თესვისა, მკისა თუ გალენისა, ნამგლიანი კაცი ან მოღლილი გუთნისდედა მკისა თუ ხენის დროს სასიმღეროდ ძნელად მოიცლის. მაგრამ იმ სიმღერებში დიდებულადაა გამოხატული შრომის დრამატიზმიც და სიდიადეც, სიმწიფეც და სიხარულიც. ეს ადამიანის გონებით გააზრებული და გულით განცდილი სიმღერებია. შრომამ შექმნა ეს სიმღერები და შრომის სადიდებელ ჰიმნებად მოვიდა ისინი ჩვენამდე.

პურის მომყვანი კაცი, ანუ იგი, ვინც ხნავს, თესავს, ფარცხავს, მარგლავს, მკის, ლეწავს, ანიავეს, ბელეში აბინავეს, და ბოლოს დაფქავს და გამოაცხობს, ჩვენში მუდამ განსაკუთრებულად ფასდებოდა და პატივისცემით იმოსებოდა; მით უმეტეს, თუ იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ იგივე პურის მომყვანი ამას მარტო საკუთარი თავისა და ოჯახისათვის კი არ აკეთებს, არამედ ქვეყნისათვისაც იღვწის. პურის მომყვანის ბარაქას მოელის მწვემსი თუ მევენახე, მეჩაიე თუ მეხილე, მეფოლადე თუ ჯარისკაცი, მეტყვევე თუ სიტყვასთან შეჭიდებული კაცი, ან სახელგანთქმული სწავლული.

იფიქრებთ, ამას ხომ ყველა კეთილშობილი ხელობის კაცზე ვიტყვითო, და მართალიც იქნებით. მაგრამ იმთავითვე ხომ შევთანხმდით, რომ პური — ეს ქვეყნის „არსობის“ ნაწილია, ერთ-ერთი უმთავრესი და უპირველესი. და თუ ასეა, უკვე დამაჯერებლად ვირწმუნებთ პურისადმი გულმხურვალე პატივისცემას, პურის ირგვლივ შექმნილ და საუკუნოობით ჩამოყალიბებულ წესსა და ადათს, რომელთაგან ბევრზე ბევრს დღესაც არ დაუკარგავს აზრი და მნიშვნელობა.

აი, ზოგიერთი მათგანი: ხალხი ამბობს — პურმა თქვა — „ხარმა მხნა, მუშამ დამთესა, უფალმა მომიყვანაო“... ანუ პურის მოყვანა მარტო მიწისა კი არა, ზეცის საქმეცაა, მზემ უნდა გადმოხედოს და ცამ ნამი მაკუროსო.

კარგი გუთნისდედა სოფელში ერთი პირველკაცთაგანი იყო.

კარგი პურისმცხოველი დედაკაცი

მთელ კუთხეში გაითქვამდა სახელსო. კარგი პური მარტო სურნელოვანი კი არ იყო, თვალადაც საამოო.

ლავაში მთვარესავით უნდა ყოფილიყო გაბადრული. შოთი კი კოხტა ხმალივით ამოწვდილი.

პური თუ მიწაზე დაგივარდებოდა, უნდა აგელო, გეკოცნა და შეგენახა.

პური თუ დაგიძველდებოდა, ან უნდა გაგეფიცებინა, ან შეჭამადმი დაგელობო და იმდაგვარად დაგეპურებინა ოჯახი.

პურს თუ გესესებოდნენ, უარის თქმა სირცხვილად ითვლებოდა.

პურის ცხოვისას თონესთან უცხოო რომ ჩაეგლო, ცხელი შოთი უნდა შეგეთავაზებინა.

პური რომ გლახაკს ვინმეს ეთხოვა, ისე უნდა მოქცეულიყავი, როგორც ოთარაანთ ქერივმა იცოდა, — შინ შესულიყავი, დარჩენილი შოთები გამოგეტანა და გლახაკის გამკითხავად გამოსულიყავი.

დაბოლოს პური ჯეჯილით იწყება. ჯეჯილს მომავალ თაობას, ბავშვებს ადარებენ, ისევე უნდა ზრუნვა, ალერსი და ფიქრი, როგორც ბავშვსაო. აბა, სხვას რას რგებია ესოდენ სათუთი პტივი, ბავშვებთან, ქვეყნის მომავალთან შედარება და შეთანაბრება.

აი, ალაღანებული ყანა, დამძიმებული თავთავეები, უსაზღვრო, ოქროსფერი ველი. მოდის კომბაინი და მოაპობს „ტალღებს“, როგორც ზღვას მოაპობს ხოლმე დიდი გემი. ეს პურის ზღვაა და ყანის ტალღები. გემი კომბაინია. ის მკის, ლეწავს და არჩევს ხორბალს. მანამდე კი, ვიდრე მკის დრო მოვიდოდა. მოხნეს, დათესეს, გამარგლეს... ველზე გუგუნებდნენ ტრაქტორები. დღე და ღამე მოსვენება არ იყო. ტრაქტორსაც, კომბაინსაც და სალექსაც ადამიანები მართავდნენ. მაინც ადამიანი იყო მთელი მოსავლის მომყვანი და მესვეური. რომ ადამიანი არა, ეს „ჭკვიანი“ მანქანებიც კი ვერაფერს გახდებოდნენ. მანქანა, ცხადა, სხვაგვარ შრომას მოითხოვს, მაგრამ პურის მოწევა დღემდე მაინც ძნელ საქმედ ითვლება.

სწორედ ამ ძნელ საქმესაა შეჭიდებული პურის მომყვანი კაცი.

სწორედ ამ სიმწიფის გამო გვიზიდავს ჩვენც ეს კეთილშობილური „ხელობა“.

აბა, ახლა წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მაშინ, როცა არც მანქანა იყო, არც ტრაქტორი და არც კომბაინი. წაიკითხეთ მაშინდელი „პურის მოთხრობა“. ეს ძალზე ძნელი, მაგრამ ღამაში მოთხრობაა. რაც მთავარია და დღესაც დასაფასებელი, მასში ჩვენ გვზიბლავს შრომის ყადრი, პურისადმი თავყანისცემამდე მისული ერთგულება, შრომაში შერწყმული სიღამაზე, პოეტურობამდე ამაღლებული ფორმა ამ „მოთხრობისა“.

ჩვენი მონაყოლი შეიძლება მხოლოდ უბრალო შინაარსი გამოდგეს, ამ „მოთხრობისა“. მოთხრობებს არ ჰყვებიან. მოთხრობებს გულით განიცდიან.

წარმოიდგინეთ შემოდგომა. მოსავალი უკვე ბელეებში დაბინავდა. სოფელში მოილხინეს. ჭირნახული ურიგო არ იყო და განწყობილებაც ჩინებულა. მაგრამ ხვალეზეც ხომ გვინდა ზრუნვა? მეზობლებმა ერთმანეთი შეიპირეს და „მამითადი“ შეიკრა. ხენა იწყება. „მამითადი“ კი იმას ნიშნავს, რომ ათიოდე კაცი თავისი ხარკამეხით და გუთნეულით დღეს ერთ ოჯახს მოუხნავს მიწას, ხვალე მეორეს, და ასე, ვიდრე მთელი სოფლის სახნავსათვის არ „გადაბრუნდება“. ხენაში „ღამედგომით“ წაიდიდონენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გუთნისდებები და მეხრეები დამესაც მინდორში გაატარებდნენ, რათა რიფრაჟიდანვე, ცისკრის ვარსკვლავი რომ ამობრწყინდებოდა საქმის თადარიგს შედგომოდნენ.

გუთანში შეებებოდა „რქა-კუდით შემკობილი“ ხარკამეხი და გაჰყვებოდნენ სვრელს. მერე „პოროველას“ სთქვამდნენ ტკბილსაო“, დარწმუნებულნი იმამი, რომ „ეს ჩვენი მარჯვე გუთანბ ველს მალლა უხამს ძირსაო, ფარცხით ისე ჩამოფარცხავთ, როგორც წისქვილი ფქვილსაო, შიგ რო დაეთესავთ თეთრ პურსა, ყანას მოგვიყვანს ხშირსაო“...

დღე ვახშმით დასრულდებოდა, ცივ ქონში, ანდა სულაც უქონოდ, სადმე, მუხისქვეშ; ცეცხლაპირას, ბაასითა და ისევე გუთნისდედური იუმორით:

„აჩქამ უთხრა გუთანსა: პატარა პური მიტეხე! — მაშინ სად იყავ, აჩქავ, როცა ყამირი გატეხე, მოვეკიდე ხის ძირებსა,



ზარბაზანივით დავეჭვებე,  
შენ რატომ არა მშველოდი,  
ხეს რომ ფესვები ავტყებე?”  
ასე გაიცხადუნენ ვილაც აჩეჩას,  
აღბათ ვინმე ზარმაცხა, და ძილისგუ-  
დას, ნაცარქექისასავით ტრაბახას, ცუ-  
ღლუტსა და სხვისი ხელის შემყუ-  
რეს.

ხენას მორჩებოდნენ. ცოტაც და  
თოვლი წამოვიდოდა. იმ თოვლსაც  
უძღვროდა გლეხი კაცი. „ვიცი, რომ  
ზამთარს თოვლიანს თან მოსდევს მო-  
სავალი“. ამ „მოსავალში“ მაინც  
უფრო ყანის მოსავალი იგულისხმება,  
რადგან თოვლიანი ზამთარი სხვაზე  
მეტად ყანას უყვარს. ახლად თავწა-  
მორგული ჯეჯილი თოვლის ქვეშ  
უფრო კარგად იზამთრებს. თოვლი  
„თბილ საბნად“ ეფინება და მერე,  
როცა „ხეში წყალი ჩადგება“, როცა  
ზამთარის ძილისაგან გამოფხინებული  
ველი თოვლის საბანს გადაიხდის, გა-  
თამამებული ხასხასა ჯეჯილი მიიხედ-  
მოიხედავს: გარშემო უკვე გაზაფხუ-  
ლია.

ჯეჯილი ჭირვეულობს, არ უყვრს  
„ავი მქობლები“.

ავი მქობლები ვინ არიან? – ათა-  
სგვარი სარეველა ბალახები. მაშინ  
ისევ გლეხკაცი მოვა და „მქობლებს“  
დატუქსავს, ჯეჯილს წააქეხებს, გა-  
ათამამებს, ეტყვის, იზარდე, დაპურდი  
და ყანა გახდიო. მარტო აქა-იქ ყაყა-  
ჩოები დარჩებიან ჯეჯილის მქობლად  
და მწვანედ აღდანებულ ველზე წი-  
თლად აენთებიან. აქა-იქ მიმობნეული  
წითელი ყაყაჩოები ყანას ამშვენებენ.

ჯეჯილი უფრო გათამამდება და  
ფხას გამოიღებს.

მაღე დათავთავდება კიდეც.

ეს ის დროა, ან ის თვე, ხალხმა  
ძველად თიბათვე რომ უწოდა, ჩვენს  
დროში კი ივნისს ვეძახით. ივნისი თი-  
ბის თვეა, მაგრამ არა მკისა. მკამდე  
ჯერ კიდევე შორია. ივნისში ჯეჯილს,  
აწ უკვე ყანად წოდებულს, მუხლი  
უნდა გაუმაგრდეს, სიმხნევე შეემატოს,  
დავაჟკაცდეს და ოქროს ფერი მოიყი-  
დოს. ოქროს ფერს ყანა ზაფხულის  
მწველი მზისაგან იღებს. მზე უმაგრებს  
მუხლსაც და იმ პატარა ხორბლის  
მარცვლებსაც მზე უზრდის, თავთა-  
ვში ჩუმად რომ მინაბულან.

გაუა „თიბათვე“ და მოჰყვება „მკა-  
თათვე“, რა თქმა უნდა, თვითონ სი-  
ტყვამაც მიგახვედრათ, რომ მკის დრო  
დაწყებულია და თვესაც ეს პატივსა-  
ცემი სახელი ყანის გამო შერქმევია.  
ყანა მართლაც უკვე საჩვენოდაა შე-

მოსული, მარცვლები უკვე წამოზრდი-  
ლან და თავთავში აღარ ეტყვიან. ამ  
დროს საშველად გვიხმობს ყანა და  
იწყება მკა.

მკამიც მამითადს უხმობდნენ. შე-  
იყრებოდნენ მოძველები და მეძნეურები,  
აირჩევდნენ მესვეურს, აალაპლაპებდნენ  
ნამგლებს და გაჰყვებოდნენ საქალს.  
მოძილ ყანას ძნებად ჰკრავდნენ, დღის  
ბოლოს კი საძნე ურმები კალოსკენ  
მიჭრიალებდნენ. აი, სწორედ მაშინ  
იწყებოდა თქვენი ტოლების ზეიმი. მო-  
ძველებს ქალები და თქვენი ტოლები,  
ანუ როგორც ძველად იტყოდნენ ხო-  
ლმე, გოგო-ბიჭები მიჰყვებოდნენ, რა  
არის და არც ერთი თავთავი არ და-  
ვკარგოთო. ამას „თავთავის კრეფა“  
ერქვა. ფაცი-ფუცში, შეძახილებში,  
მკაში და ძნის შეკერაში, რა თქმა  
უნდა, ბევრი თავთავი იფანტებოდა.  
როგორც ამბობდნენ ხოლმე, „თავთავი  
ბლომად ცვიოდა“, და აბა ჩაცვენელ  
თავთავს ქარსა და წვიმას ხომ არ  
გაატანდნენ. თქვენი ტოლი გოგო-ბი-  
ჭები აგროვებდნენ, კონებად ჰკრავდნენ  
და ძნებს უმატებდნენ. მცირე ნაწილს  
კი, მაგრამ იმდენს, რომ იმათ ყოფნო-  
დათ, ფრინველთ უტოვებდნენ, რო-  
გორც ყანის, ვენახის და კაცის მეგო-  
ბრებს.

ბაღების ზეიმი-მეთქი, გითხარით,  
მაგრამ მართლა ზეიმი კალოზე იმა-  
რთებოდა. აბა კალო იყო, რაც იყო,  
კალო იყო თქვენი ტოლების მთელი  
წლის ოცნება და მოლოდინი. წინა  
დღეს რომ ეტყოდნენ – ხვალ კა-  
ლოზე მივდივართო, ის დამე არა და  
აღარ გაილეოდა. ბაღებს ძილი არ  
ეკარებოდათ, როდის გათენდებაო. გა-  
თენებისას თავზე დასძახებდნენ: ადე-  
ქით, თქვე ძილის გუდებო, ავი კა-  
ლოზე წასვლა გინდოდათ, საცაა მზეც  
ამოვა, რაღა დროს მუშა კაცის ძი-  
ლიაო. ბაღებსაც ეს უნდოდათ და  
თვალების ფშენებით წამოცვივებო-  
დნენ.

კვერი უკვე გაეწყოთ. დაიხუნძლე-  
ბოდა კვერი წვრილფეხობით და ხან  
ნაპირ-ნაპირ უვლიდნენ კალოს, ხან  
შუაზე გადაჭრიდნენ. უცებ ხარები  
აჩქარდებოდნენ და ბაღები ნამჯაში  
გადაკოტრიალებდნენ, მერე ისევ წა-  
მოეწოდნენ. ამ სიცილ-ხარხარში გა-  
დიოდა დღე, ნამჯა კვერის კაყის „კბი-  
ლებისაგან“ ბზედ იქცეოდა, შინდის  
სიმსხო – ხორბლის მარცვლები თავ-  
თავებიდან გარეთ გამოცვივებოდნენ,  
მკათათვის ცხელი მზე დაფშენიდა თავ-  
თავებს და სადამოს, როცა მზე ჩა-

ვიდოდა, განალეწის გასანიაველად  
მთებიდან წამოსულ ზემო ნიავს ეღო-  
დნენ.

„განიავება“ რა არისო  
გეტყვით: დადგებოდნენ წინა მისი  
პაპანი კალოზე, ცაში აპყრიდნენ გა-  
ნალეწს, ნიავი ხორბალს ცალკე „გა-  
დაარჩევდა“, ბზეს ცალკე და „განი-  
ავებაც“ ამას ერქვა. მერე? ხორბლის  
გარჩევა, ტომრებში ჩაყრა და წი-  
სქვილი...

წისქვილიც ძლიერ უყვარდათ თქ-  
ვენს ტოლებს.

იქ, დაფქვის მოლოდინში, ცე-  
ცხლის პირს, წყლის ჩუხჩუხში, სა-  
რეკელას კაკუნში და ქვების ბუბუ-  
ნში ნაჯაფი ხალხი ერთმანეთს უა-  
მბობდა გაგონილსა და ნანახს. სა-  
უბრობდნენ ამინდზე, მოსავალზე, ავზე  
და კარგზე. აღდგომლებდნენ წი-  
სქვილს, მეწისქვილეს, პურის მო-  
მეყვანს, რომელიც მუდამ ადამიანე-  
ბზე, ადამიანის კეთილდღეობაზე ფი-  
ქრობს. ჰყვებოდნენ გრძელ, ჯადო-  
სნურ ზღაპრებს ეშმაკ მელიაზე, ავ  
დედინაცვალზე, ულამაზეს დედოფა-  
ლზე და მამაც ჭბაბუკზე, რომელმაც  
დედოფალი ქაჯების ტყვეობიდან  
იხსნა.

ბოლოს კოპწიად მოწულ თიხის  
თონეში ცხვებოდა პური.

პურის ცხობაც ოჯახის ზეიმი იყო.  
იმის დასტურად კი, რომ პური მა-  
რტო „სათავისოდ“ კი არა, „სასხვი-  
სოდაც“ ითვლებოდა, ჩვენს წინაპრებს  
ჰქონიათ მშვენიერი ჩვეულება: პი-  
რველი ლავაში, თონეში დაბრაწული  
პირველი შოთი ეკუთვნოდა ყველაზე  
უფრო კეთილ კარის მქობელს. „მე-  
ზობელს ცხელი შოთი გადააწოდეთო“  
– იტყოდა პურის მცხობელი დიასა-  
ხლისი და მერედა იწყებდა საკუთარი  
ოჯახისათვის შოთების ჩაკვრას...

ნახეთ, რამოდენა საქმე უკეთებია  
პურის მომეყან კაცს. რამდენი უწვა-  
ლნია და უფიქრია ადამიანებზე. ვი-  
საც ერთხელ მაინც განუცდია სუ-  
რნელება ახლად მოხსული მიწისა,  
თვალისმოძტაცი ელვარება „მზეკა-  
ბანისა“, მჩქეფარე რიტმი მკისა და  
კალობისა, ვისთვისაც გზად გავლი-  
სას უცხო ოჯახიდან ერთხელ მაინც  
გადმოუწვდიათ სურნელოვანი, თბილი  
ქართული შოთი, იგი მუდამ დიდებას  
მიუძღვნის პურს და პურის მომეყანს.

„დედამ პური მოიტანა“.

„ბიჭი პურის მოსატანად გაგზა-  
ვნეს“...

დიახ, ეს ძალზე ყოვე-

ლდლიური და უბრალო სიტყვებია. ჩვეულებრივსა და უბრალოს მიღმა დიდი საქმის დანახვა სიბრძნის დასტურია. ჩვენც მოგვცემოდეს ეს სიბრძნე.

ისევ გიორგი ლეონიძის სიტყვას უნდა მოვუხმო შემწედ და მშველელად. ავი თავადვე თქვა, „ასე მგონია პურის კალამი მიჭირავს ხელთ და იმ ქართული პურის მაღლითა და სიმართლით ქალღმრთელს ვადამაქვს ის, რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშობელმა ხალხმაო“. ერთი დიდებული მოთხრობა დაწერა თავისი „პურის კალამით“ მწერალმა. იმ მოთხრობას „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“ ჰქვია.

არავისზე ნაწყენი, არავის ნამდურავი არა ყოფილაო გუთნისდედა ნინია.

ოთხმოც წელიწადს მიაღწია თურმე და არაფერი არ ასტიკვებია.

ბოლოს, აღმეგებიდან შემონაქროლმა სიკვდილმა ნინიას სალაში მისცაო.

კარის მეზობლებმა, მეხრეებმა, მისი გუთნისდედობით გაწვრთნილებმა ინახულეს, გულის გადასაყოლებლად ამბებიც უამბეს, მაგრამ ჯანი უსუსტდებოდა, სული კი არა კვდებოდა.

ალალ-მართალი, გულგაწმენდილი მივედივარ წუთისოფლიდან, არავის არას ვეპართლებოდი, არავისი საყვედური არ მიმდევს... პურის მომყვანი ვიყავი ამ ქვეყნად. ბევრი მინდორი გადამიშავებია და ახლა სად უნდა წავიდე, სად გაენიადეო?

წამოიწია და მუდართით ითხოვა:

– მინდორს ვადამახედეთო!

ორივე შვილი მხარში შეუდგა და მოწიწებით აივანზე გაიყვანეს.

აფერებულ ყანებზე დაუდგრომელი ნიავი შლიდა, აფენდა და აქანავებდა მზეკაბანს.

თავთავი ჩუმად შრიალებდა.

ნინიამ ზეგარდიდან დახედა საუსე მინდორს. ხარბად თვალი შემოატარა, გულცქერით შეისაყვარლა ამრეშებული ყანები, ამოხეთქილი ბურღალი ბალახი.

ტკბილმა მოგონებამ გული გულში გაუყარა და გაიღიმა...

ოცი წლისამ აიღო გუთანი ხელში. მაშ, სამოცი წელი სჭერია! უხნავს, ხალხი დაუპურებია...

ამგვარად დაგვემშვიდობა მოხუცი გუთნისდედა.

მოხუცი გუთნისდედის ამგვარი ამაყი სიკვდილით მთავრდება ეს „პურის კალამით“ დაწერილი „პურის მოთხრობა“.



**ი. გობეჯაშვილი:** ყველა მსოფლიოს გენიოსები უმხურვალესი მამულიშვილები იყვნენ. მათ სხვებზე მეტად უყვარდათ თავისი სამშობლო, როგორც საუკეთესო შვილს მეტობით უყვარს თავისი ღირსეული დედ-მამა.

**ი. ჭავჭავაძე:** ენის მრავალსიტყვაობა ერის მრავალზროვნებას მოასწავებს.

**ჩ. ღარჰინი:** არაფერი არ არის ისე აუტანელი, როგორც უსაქმურობა.

**საადი:** ერთხელ გაზალს (არაბ ფილოსოფოსს) ჰკითხეს: რითი მიაღწიე ასეთ დიდ სიმაღლეს მეცნიერებაშიო. „იმით, რომ არ მრცხვენოდა სხვებისთვის მეკითხა ის, რაც არ ვიცოდი“, – მიუგო მან.

**პ. სირი:** სხვებს ბევრი რამ აპატიე, საკუთარ თავს – არაფერი.

**ვ. ჰიუგო:** დედამიწაზე არ არსებობენ პატარა ხალხები. ხალხის სიდიადე სრულიადაც არ იზომება მისი რიცხოვნებით, როგორც ადამიანის სიდიადე არ იზომება მისი სიმაღლით.

**ი. ბაროუ:** ვისაც წიგნის კითხვა უყვარს, მას მუდამ გვერდით ჰყავს ერთგული მეგობარი, მხიარული თანამოსაუბრე, ბრძენი მრჩეველი და დამრიგებელი.

**პლუტარქი:** მე არ მინდა მეგობარი, რომელიც ყველაფერში მეთანხმება თავის ქნევით, – რადგან ამას ჩემი ჩრდილი უკეთესად აკეთებს.

**სოფოკლე:** თავის თავზე დიდი წარმოდგენა მოკლე ჭკუის ერთ-ერთი ნიშანია.

**ლუკიანე:** მხდალსაც კი მამაცად ხდის სიტყვა „სამშობლო“.

**ციცერონი:** ჩვენთვის ძვირფასნი არიან მშობლები, ძვირფასნი არიან შვილები, ახლობლები, ნათესავები, მაგრამ ყველა წარმოდგენა რაიმესადმი სიყვარულის შესახებ შეერთებულია ერთ სიტყვაში – „სამშობლო“.

თბილისის 161-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გელი ნინო კახიანი პოეტიც გახლავთ, იგი მშვენიერ ლირიკულ ლექსებს წერს. გთავაზობთ ნინო მასწავლებლის რამდენიმე ლექსს.



### გზის გზაჯა

გზის ერთ კუთხეში ზის მოხუცი ჭაღარა,  
დაძარღვულ ხელებს მორჩევად უწვდის  
გამვლელ-გამომვლელს,  
დღეს თვალეებს მალავს და ჩუმად  
წრემლად იღვრება,  
ერთ დროს ამაყი, რხოვრებისაკენ  
ლაღად მორბედი.  
სიწოცხლისაგან მოთენთილ სხეულს,  
გადაღლილ სახეს  
მოგონებები გარდასულ დღეთა თავს  
დასტრიალებს.  
ჭობზე დაყრდნობილ უსუსურ ხეღს,  
აკანკალებუღს  
ბევრი ამჩნევს... მონყაღება  
კვლავ იგვიანებს...  
მიღის და მოღის მრავაღი კარი,  
კარი და ქაღი, ქაღი და ბავშვი,  
- დამეხმარეთო, - ითხოვს მოხუცი  
და თან არე უნდა, ვინმემ გაიგოს,  
თვალეებს დაბლა ხრის, ჩუმად  
ყლაპავს წრემღს,  
ეგება ვინმემ ფული გაიღოს.  
რამდენი დღეა შია, სწყურია,  
ვისთან მივიდეს, ვის შეევედროს...  
რხოვრების გზაზე ჭაღარა კარი  
ბეღის ამარა სიწოცხლეს ითხოვს.

### აჩრდილთა ბავშვანი

ჩუმად დაიშაღა ლამის მაყრიონი,  
ლაღის გაჩერდაო ნამიერ,  
შავი აჩრდილეები ერთურთს დაეთხოვენ  
და გაქრა ეს სიზმარიერ.  
ხანმოკლე აღმოჩნდა ლამის სერენადა,  
აჩრდილთა პაემანი,  
ლაღე განეშორა სიზმარს აღმაწერად  
და აარიდა თვაღი.  
როგორ გაიპარა წყთი ნამიერი,  
არე კი ყოფიღა ლამის...  
ჩვენი შეხვედრა და მაყრიონი  
საჩუქრად ყოფიღა ლამის.


### მე... და მეოჯე მე...

ორი არსება ერთად  
მე... და მეორე მე...  
სიკვდიღ-სიწოცხლე ერთად...  
მე... და მეორე მე...  
ორივე ერთად ვკვდებით,  
ერთად ვიწოცხლებთ ჩვენ...  
მეგობრობა და მტრობა...  
მე... და მეორე მე.

### ფოთოღი

ფრიაღ-ფრიაღით  
ოხვრა-კვენსით  
დაეფინა მინას  
გამხმარი ფოთოღი,  
სიწოცხლით გაუმაღლარი,  
სიყვარულით დამტკბარი,  
გარეებულ სხეულს  
ჩაეხუტა ოზოღი  
შორიდან თვაღურრემლიანი  
შეჭყურებს ამართულ ხეს  
და ჩუმად ჩურჩულებს  
ღმერთო, არ მომკლა დღეს.

## ვიქტორინა „ქუის ეოლოფებისათვის“



შეგახსენებთ ვიქტორინათამაშის პირობებს. პირველი ეტაპის კითხვებზე პასუხების მიღების ბოლო ვადად 15 მარტი იყო გამოცხადებული. მეორე ეტაპის პასუხების მიღების ბოლო ვადა 25 აპრილია. გამარჯვებულთა ვინაობა ორი ეტაპის შედეგების მიხედვით დადგინდება 7 მაისს.

მათ შესახებ „ნაკადულის“ მე-5 ნომერში დაწვრილებით გაამბობთ.

პირველი ადგილისათვის დაწესებულია 1 პრიზი (50 ლარი და ფურნალ „ნაკადულის“ წლიური ხელმოწერა)

მეორე ადგილისათვის – ასევე 1 პრიზი (30 ლარი და „ნაკადულის“ წლიური ხელმოწერა)

მესამე ადგილისათვის – 1 პრიზი (20 ლარი და „ნაკადულის“ წლიური ხელმოწერა)

პასუხების გამოგზავნისას ზუსტად მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი, მისამართი, სკოლა, კლასი, ტელეფონის ნომერი. ჩვენი მისამართი მოცემულია ფურნალის პირველ გვერდზე.

გისურვებთ წარმატებას!

1. მოგეხსენებათ, საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო ჰიმნის მუსიკის ავტორი კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილია, ვის ეკუთვნის ჰიმნის სიტყვები?



2. რატომ არის, რომ შემოდგომაზე ზოგის ფოთლები ყვითლდება, ზოგისა კი წითლდება?

3. რა იცით სიცილის ორდენის შესახებ? ვინ და-  
აარსა იგი, ვინ ვის და რისთვის ანიჭებს ამ ჯი-  
ლდოს?

4. გეცოდინებათ, რომ ქართველი პოეტი და პო-  
ლიტიკური მოღვაწე ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი)  
დაკრძალულია რუმინეთში, ქალაქ იასიში, როგორ  
და რატომ აღმოჩნდა იგი იქ?

5. „ერი, ერთის ღვანლის დამდები, ერთს ისტო-  
რიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი ერთსა და იმავე ჭირსა  
და ლხინში გამოტარებული — ერთსულოვნებით, ერთგულებით  
ძლიერია“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

6. რა ჰქვია ბიჭს რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „უკულმა  
დაჭედილი“, რომელიც კონონაშვილებს დაენაძლევა, მწარე წინა-  
კებს უპუროდ შევჭამო?

7. როგორ გადადიან ჭიანჭველები რუმე, ნაკადულზე თუ არხზე?

8. ტყის პირას 15 ცხვარი ძოვდა, ცოტა ხანში ხუთი მათგანი  
მდინარისაკენ დაეშვა. რამდენი ცხვარი დარჩებოდა ტყის პირას?

9. სად და როდის გამოიცა პირველი ქართული ტექსტით ნაბე-  
ჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და ვინ იყო მისი  
ავტორი?

10. ვინ იყო ის მამა-შვილი, ორი დიდი ქართველი მოღვაწე,  
რომელთაგან პირველმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული  
ჟურნალისტიკის, აზროვნების განვითარებაში, ქ. ფოთის ნავსადგურის  
აშენების და ქვეყნისთვის სასიკეთო მრავალ სხვა საქმეში, მეორეს  
კი ასეთივე დამსახურება მიუძღვის მეცნიერების, მეტალურგიის,  
ალპინიზმის, ტანვარჯიშის განვითარებაში. გაიხსენეთ ამ მამა-  
შვილის სახელი და გვარი.





არასოდეს დაფიქრებულხართ, როგორ მკურნალობენ ცხოველები, ფრინველები? როგორ ირჩენენ იარებს? მათაც ხომ სტკივდებათ, ვთქვათ, მუცელი, ყელი, კბილი?

კი, ბატონო, საქონელს — ცხვარძროხას, ღორს, თხას, კამეჩს, შინაურ ძაღლს, კატას, მოშინაურებულ თუთიყუშს თუ იადონს ვეტექიმი მკურნალობს, მაგრამ ტყეში, ღრეში, მინდორში, ჯუნგლებში ან ლომს ვინ გაუკეთებს ოყნას ან კურდღელს ვინ დაუპლომბავს კბილს ან კიდევ... თურმე ნუ იტყვი, ფაუნის წარმომადგენლები მშვენივრად ერკვევიან ტკივილგამაყუჩებელ, ანთების საწინააღმდეგო, პირის ლებინების გამომწვევ თუ სხვა სამკურნალო საშუალებებში. მაგალითად, კურდღლები სისხლდენის შესაჩერებლად და ტკივილის შესასუსტებლად ჭრილობაზე აბლაბუდას, ობობას ქსელს იდებენ. ხალხს უთქვამს, ცხენი თოვლის ნაყურს დალევს და მორჩებაო. თოვლის ნაყურს და ბიოლოგიურად უფრო აქტიურ, გოგირდიან, ნახშირმჟავიან, რკინიან წყარო-ნაკადულეების წყალს სხვა ცხოველებიც სიამოვნებით ენაფებიათ.

ზოგჯერ ცხოველები შეგნებულად იჭრებიან ჭიანჭველების ბუდეში, რომლის ბინადარნი მომხდურს ტანზე ჭინჭველის მუავას ასხურებენ. ვარაუდობენ, რომ ამ გზით ცხოველები რეკამატიზმს მკურნალობენ და პარაზიტებისაგან თავისუფლდებიან.

ცხოველები სამკურნალოდ მცენარეულ და მინერალურ მასალებსაც იყენებენ: სოკოებს, ბალახს, კვირტებს, ფოთლებს, ნაყოფს, თიხას, სხვა ცხოველთა გამონაყოფს, და-

ლუპულ თანამომეტა რქებს, ძვლებს.

მაგალითად, ბევრი ცხოველი თუ ფრინველი ჭიებისაგან გასათავისუფლებლად სურნელოვანი ნივთიერებებით და გლუკოზიდებით მდიდარ მწარე აბზინდას შეექცევა. იმავე მიზნით ჭამენ სამყურას ფოთლებს, ფიჭვის და ნაძვის წიწვებს, შხამას, ხეჭრელის და ღვიის ნაყოფს, არყის ხის საყურეებს. მთრიძლავი ნივთიერებები, სკიპიდარი და სხვა, რომლებიც ბუნების ამ ნობათში შედის, ადვინფიცირებენ კუჭ-ნაწლავს, აბრუებენ და გამოდენიან პარაზიტებს. თუ ძალლი ხახას ძვლით ან თევზის ფხით გაიკანრავს თუ გაიჭრის, უმაღ „მწვანე აფთიაქისაკენ“ გარბის — ლურჯი და მწვანე ძურწას წიწვნის და შვებას პოულობს. ადამიანმა ძალიან დიდი ხნის წინათ

შეამჩნია, რომ დაავადებული თუ დაჭრილი ცხოველები რაღაც გარკვეულ ბალახებს ეძებენ და ჭამენ და ვინ იცის, იქნებ ხალხური მედიცინის სათავეც აქაც უნდა ვეძიოთ. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის მკვიდრი მცხოვრებლების გადმოცემებით ქინაქინის ხის ქერქის სამკურნალო თვისებები პუმების წყალობით გახდა ცნობილი: პუმები მას ჭამდნენ და ციებ-ცხელებისაგან ინკურნებოდნენ. ცნობილია, რომ ყავის აღმგზნები თვისებების აღმოჩენას თხებს უნდა ვუმაღლოდეთ. ლეგენდების თანახმად, მუმისოს სამკურნალო თვისებებზე ცხოველებმა აღმოაჩინეს ადამიანებს.

თავის „ფილოსოფიურ ტრაქტატებში“ ციცერონი წერს, რომ ძაღლები პირისლებინებით მკურნალობენ, ეგვიპტური ძენძერუკები თვი-

თონვე ნისკარტით მკურნალობენ კუჭს. ამბობენ, რომ ზოგ ქვეყანაში პანტიერებს მონამლული ხორციით იტყუებენ, მაგრამ ისინი რალაც ბალახს ჭამენ და სანამლავე აღარ სჭრის. კრიტოსის კუნძულებზე მონადირეთა ისრით დაჭრილი ირმები პოულობენ რალაც ბალახს, მოძოვენ მას და ისრები თავისით გამოდის ჭრილობიდან. ძუ ირმები მშობიარობის წინ რალაც ბალახს ჭამენ და ისე ითავისუფლებენ კუჭს.

ცნობილი მკვლევარი ჯოი ადამსონი ერთ ასეთ შემთხვევას აღწერს. მის ქმარს ორი კაციჭამია ლომის მოსპობა დაევალა. ლომების სავალ ბილიკზე მან სტრიქინით მონამლული ხორცის ნაჭრები დაყარა. როდესაც ხორცი გაქრა, კვალმა მონადირე მიიყვანა ბუჩქამდე, რომლის ნაყოფსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები პირის ღებინების გამოძწევი ძლიერი საშუალების სახით ღებულობდნენ. როგორც გაირკვა, ლომებმა საქმის სრული ცოდნით მიირთვეს უფასო ნამალი და ნავიდნენ.

ვიდრე ავადმყოფს მკურნალობას დაუნიშნავდეს, თანამედროვე ექიმი მრავალმხრივ ინფორმაციას აგროვებს მასზე — კარდიოგრაფები, რენტგენის სურათები, ნევა, ექსოკოპიის შედეგები და სხვა და მერელა სვამს დიაგნოზს. ცხოველი კი თვითონ „უსვამს“ საკუთარ თავს დიაგნოზს. მაგრამ როგორ? თურმე ამას ფრინველები და ცხოველები რეცეპტორების საშუალებით ახერხებენ. ორგანიზმის ყველა ქსოვილში, სახსრებში, სისხლძარღვებში, კუჭ-ნაწლავების ტრაქტში, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებში, ღვიძლსა და თირკმელებში, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში ეს რეცეპტორები განსაზღვრავენ სისხლში საკვები ნივთიერებებისა და გაზების შემცველობას, არანორმალური სისხლის წნევის სიდიდეს, ანალიზებენ მიღებული საკვების და კუჭის წვენის შემადგენლობას. ერთი სიტყვით, არ არსებობს ორგანო, რომელსაც ისინი არ აკონტროლებდნენ. ასე და ამრიგად, რეცეპტორები გამუდმებით აწვდიან ორგანიზმს ინფორმაციას მისი მდგომარეობის შესახებ და აქედან გამომდინარე, იწყებს მერე თვითმკურნალობას ცხოველი იქნება თუ ფრინველი.

სხვათა შორის, ფაუნის წარმომადგენლებს ისიც კარგად აქვთ გათითვნილი, რომ დაავადებათა

მკურნალობა კი კარგია, მაგრამ ყველაფერს მათი თავიდან აცილება, პროფილაქტიკა ჯობია, ხოლო საუკეთესო პროფილაქტიკა სანიტარია და ჰიგიენაა. მოდით ჩვეულებრივ შინაურ კატას დავაკვირდეთ. ხომ შეგიძნევათ, როგორ გულმოდგინედ და სშირად იბანს ცხვირ-პირს კატა, როგორ შეუცდომლად ასრულებს ამ რიტუალს დღეში რამდენჯერმე, მაგრამ რომ იცოდეთ, ციყვები, ძაღლები, ენოტები, ბევრი ფრინველი, ბუხები, ფუტკრები, ტარავენები და ჭიანჭველებიც მკაცრად იცავენ ჰიგიენას, სულ იმაზე ზრუნვაში არიან, რომ თვითონაც სუფთად და პენიანად იყვნენ, შეილებიც წესრიგში ჰყავდეთ და საცხოვრებელსაც წვრიალი გაჰქონდეს. ცხოველებს შორისაც არიან ისეთებიც, განსაკუთრებულად რომ უყვართ სისუფთავე. ასეთია მაგალითად მაჩვი. იგი სოროდან 5-6 მეტრის მოშორებით ინყობს 10-15 სმ-ის სიღრმის ორმო-საპირფარეშოს, რომელსაც გავსების შემდეგ მინით ამოავსებს ხოლმე. საცხოვრებლის სისუფთავეზე ზრუნავენ ფუტკრები, კრახანები, ჭიანჭველები, ტერმიტები. მათ რეგულარულად გააქვთ ნაგავი და „ნაგავსაყრელზე“ ყრიან.

ჩიტების უმრავლესობაც ცდილობს ბუდეში სისუფთავე ჰქონდეს, როდესაც ბარტყები კუჭს იცარიელებენ, მშობლები ნისკარტით ღებულობენ მათ სკორეს და ბუდიდან გააქვთ. პარაზიტების გასანადგურებლად ფრინველები ზოგჯერ სხვებს იხმარებენ: ბუდეში ჭიანჭველები მოჰყავთ და ფრთებში ისვამენ, ზოგჯერ კი ისინი პირდაპირ ჭიანჭველების ბუდეში „ბანაობენ“.

ყველას გექნებათ ნანახი ზოოპარკსა თუ ტელეეკრანებზე, როგორ უხილავენ ერთმანეთს ბენვის მაიმუნები და როგორ სიამოვნებს ორივე მხარეს ეს პროცედურა. გარდა იმისა, რომ ერთმანეთს მებნარებისაგან ათავისუფლებენ, მაიმუნები კბილებსაც სიამოვნებით უჩიჩქნიან ერთმანეთს. აიღებს ძუ მაიმუნი წვრილ ჩხირს და თვითონაც გაისუფთავებს კბილებს საჭმლის ნარჩენებისაგან და სვადსაც გაუნეწს ასეთ სამსახურს.

ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოველები და ფრინველები მშვენივრად ერკვევიან თერაპიის, ფარმაკოლოგიის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებში, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, არც ქირურგია ყოფილა მათთვის უცხო. ბუნებრივ თუ ხელოვნურ მახეში გა-

ბმული ცხოველი თვითამბუტაციის მტკივნეულ პროცედურას იტარებს, რის გამოც სახიზრდება, მაგრამ სანამაგიეროდ თავისუფლებას და სიცოცხლეს ინარჩუნებს. ცხოველები ილოკავენ დაზიანებულ და მტკივნეულ ადგილებს, კბილებით იკვნეტენ სხეულში შერჭობილ ხინვებს თუ სხვა უცხო სხეულს. ამასთან ხდება ჩირქგროვის გაქრა, ჭრილობის ჩირქისაგან, ჭუჭყისაგან, მიკროორგანიზმებისაგან განმენდა. ზოგიერთ შემთხვევაში დაზიანებულ კიდურზე ცხოველი დარბილებული თიხის ფენას იდებს — ეს ძალიან ჰგავს თაბაშირის დადებას. უფრო რთულ შემთხვევაში ავადმყოფ ცხოველს თუ ფრინველს ჯანმრთელი თანამოძმეები ეხმარებიან. თითქოს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ერთხელ, მაგალითად, ნახეს, როგორ ეხმარებოდა ერთი ტყის ქათამი მეორეს დაზიანებულ თათზე მცენარეთა სქელ ღეროებშერეული თიხის არტაშნის დადებაში.

ენტომოლოგებს დიდხანს ვერ გაეგოთ, რატომ ჩხუბობდნენ ჭიანჭველები ისეთი გააფთრებით, რომ ერთმანეთს კიდურებს ამტვრევდნენ. ხანგრძლივი დავკვირების შემდეგ გასაოცარი რამ დადგინდა — მწერები კი არ ჩხუბობდნენ, უბრალოდ ჯანმრთელი ჭიანჭველები დასახიზრებულ თანამოძმეებს დაზიანებულ კიდურებს აჭრიდნენ! საინტერესოა, „პაციენტის“ თხოვნით კეთდება ასეთი ოპერაცია, თუ „ქირურგის“ დაჟინებით? ვინ იცის, იქნებ ჭიანჭველებშიც ჰყავთ საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტები?..

ცხოველები მედიცინის სხვა დარგებშიც კარგად ერკვევიან. ისინი ღებულობენ მზის და ტალახის აბაზანებს, ბანაობენ ცივ, მარილიან, თერმულ, მინერალურ და რადონულ წყლებში. ავადმყოფობის შემთხვევაში იცვლიან კვების რეჟიმს და ბინადრობის რაიონს, იცავენ დიეტას, მიმართავენ მასაჟს, ისვენებენ ავადმყოფობის შემდეგ... ცნობილია, რომ სშირად გამოცდილი ძუ სპილოები, დელფინები თუ ვეშაპები მშობიარე თანამოძმეს „ბებია-ქალობას“ უწევენ. საყოველთაოდ არის ცნობილი, როცა ძაღლმა 12 საათი ლოკა გაყინული ლეკვები და ხელოვნური სუნთქვის მაგვარი სარეანიმაციო ხერხებით შეიდიდან ექვს ლეკვს სიცოცხლე დაუბრუნა. გადარჩენილი ლეკვები შემდგომში ნორმალურად ვითარდებოდნენ...

# ტატიმა ზამბოთი ასე?



**მიწაში ჩაუშვებელი** – წყეული, არაკაცი. ხალხის რწმენით, ყველა არ არის დამარხვის, მიწისთვის მიბარების ღირსი. ბოროტი, ავი კაცის ცხედარმა მიწა არ უნდა გააბინძუროს. ასეთებს მიწაში ჩაუშვებელი უწოდეს.

**მოედანზე გამოვიდა** – სახელი გაითქვა, ყველამ საქვეყნოდ აქო თუ აძაგა ვინმე. ძველად თბილისსა და სხვა ქალაქ-სოფლებს ერთი ცენტრალური ადგილი ჰქონდათ – მოედანი, სადაც მცხოვრებნი ქალაქში თუ ქალაქგარეთ მომხდარი ამბების შესატყობად გამოდიოდნენ. თბილისში ასეთი მოედანი იყო ძველი ეგზარქოსის მოედანი – სალაყბო მეფე გიორგი XIII-ის სასახლის წინ. ეს სალაყბო ასრულებდა ახლანდელი გაზეთის როლს, აქ აცხადებდნენ მეფის ბრძანებებს, უზიარებდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ამბავს.

**ნაზუქის სუნი დაახრჩობს** – მდიდრულად იქნება, მარტო ნაზუქი ექნება საჭმელად. ეს დაცინვითი თქმაა. ნაზუქი ფუფუნების საჭმელად იყო მიჩნეული და მაშასადამე, ვისაც ის სშირად ჰქონდა საჭმელად, შეძლებულად ითვლებოდა. გაჭირვებულისთვის კი ნაზუქი სანატრელი ნუგბარი იყო, ისე რომ დაცინვით ნახმარი ეს გამოთქმა ადამიანის ხელმოკლეობას გამოხატავს.

**ნალოსებრ თრევა**, ნალოსავით ჩამოვიდება. ნალო ეწოდება ხეს, ხის ტოტებს, რომელსაც გამოთამაშდნენ ხოლმე მარხილს ან შეშით დატვირთულ ურემს თავიქვეშ, რომ ურემი არ დაქანებულიყო. ნალო თრევით მოსდევს ურემს და ერთგვრი შეშკავებულია მისი. შინ მიტანილი ნალო მერე შეშად გამოდგება ხოლმე. ნალოსებრ ჩამომეკიდოს, ისეთ ადამიანზე იტყვიან, ვინც არ გვეშვება, თავს გვაბეზრებს.


**რა თავი მოგაქვს ნიახურის ფონივითა?!** – თავის მოსაწონებელი არაფერი გაქვს და მაინც თავს იწონებ! ნიახური მწვანელობაში ყველაზე უფრო ფართო ფურცლებიანია, მისი ლამაზად გადაშლილი ფონი ოხრახუმისა და ქინძის ფონზე უფრო სასიამოვნო საყურებელია. მაგრამ ნიახური მაინც მწვანელია და სხვა არაფერი. ისე რომ შეიძლება ქინძთან და ოხრახუმთან კი მოიწონოს თავი, მაგრამ სხვა ლამაზ მცენარეებს ვერ შეედრება. ხატოვნად ითქმის ისეთ ადამიანზე, ვისაც თავის მოსაწონებელი არაფერი აქვს, მაგრამ მაინც ცუდმედილობს, უნდა სხვაზე უკეთესად გამოჩნდეს.



## სიტყვის კონა

- ოფიჭო** – ბლის გამხმარი ქერქი, რომლისგანაც აკეთებენ სარცხს.
- პეტილი** – თხის კიკინი, ცხვრის ბლავილი.
- პოპოძი** – ბამბის გაუშლელი კოლოფი, პარკოსან მცენარეთა პარკი.
- შიში** – ახლად თავჩენილი ბალახი.
- რპალი** – იგივეა, რაც ბრინჯაო.
- როკპპი** – კუდიანების უფროსი, უშნო, ავი, ყბედი დედაბერი.
- რუსემული** – დაბლობიდან მაღლობზე წყლის ასაყვანად მაღლა აშენებული რუ.
- სახუნდარი** – ადგილი, სადაც მონადირე უსაფრდობა ნადირს.
- ლირფი** – თავხედი, ურცხვი, უტიფარი.
- ლიჭყი** – წვიმისაგან ახლად ატალახებული ნიადაგი, რომელზედაც ფეხი სხლტება.
- ძრო** – ფსკერი, ძირი.

## რა და რა ჰქვია რას და რას?





მარტის თვეში სოფიკო დაუშვილი 13 წლის ხდება, იგი თელავის I საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეა. მისი ნაწარმოებები გამოქვეყნებულია გაზეთებში „განახლებული ივერია“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ნერგი“, „ციცინათელა“, „თელავის მოამბე“, „ჩვენი მხარე“, თაობა-240“, ჟურნალში „დაჩი“. სოფიკოს რამდენიმე თხზულება ჩვენს ჟურნალშიც დაიბეჭდა.

## თუ როგორ ამხედრდნენ ძმები ლორზე

სალამობით, როცა არემარე ბინდბუნდში იძირება, როდესაც ჭრი-ჭინები მიდამოს გამოცოცხლებას ლამობენ, როდესაც მთვარე ვერცხლისფერი მოსასხამის ფრიალ-ფრიალით თვალდაჭყეტილ ვარსკვლავებს მკაცრად აუქროლ-ჩაუქროლებს, ბებერი კაკლის ქვეშ უკვე მთელი უზანია შეკრებილი. ისინი ირაკლის ოინებზე ლაპარაკობენ, ირაკლის ეფერებიან და თქვენ წარმოიდგინეთ, დროდადრო თავშიც წაუთაქებენ ხოლმე.

ირაკლი ხუთიოდე წლისაა. მას მამაცი მებრძოლივით გულზე დიდი, კაცური ნაიარევი აქვს. ირაკლის ორი წლის ძმა ჰყავს, სახელად ილო. მათი დედა, ბიჭები გარეთ რომ არ გაიპარონ, ჭიშკარს დაგრეხილ მავთულს ჩამოაცემევს ხოლმე. ძმები ბედს არ ურიგდებიან, ირაკლი ჩაიკუნტება, ჩასუქებულ, ტიტლიკანა ილოიას მხრებზე შეისვამს, წელში რის ვაი-ვაგლახით გაიმართება და ქანცგამძვრალი ძლივს ამოილულულულებს:

— აბა, ილოია, გახსენ ბიჭო?!

პასუხად ქშენისა და სიცილის ხმა ისმის. ირაკლი ახლაც ასე მოიქცა, ილოიამ, როგორც იქნა, ჭიშკარს მავთული გადააძრო და კარი ჭრი-ალით გაიღო. ირაკლიმ ილო მხრებიდან უშალ ჩამოაგდო, კარი ცხვირნინ მიუჯახუნა, მოზრდილ ქვას ხელი დასტაცა, კარში მაგრად გაჭედა და შვებით ამოისუნთქა. ო, რა ბედნიერებაა, ის უკვე გარეთაა. ეზოში დარჩენილმა ილომ ისე ილრიალა, რომ ირაკლი შიშისაგან შეხტა, მერე კარს მივარდა, ქვას დაეჭიდა და ძმას შესძახა:

— ნუ ტირი, ბიჭო, ხო ხედავ, გიღებ!

მაგრამ თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა, დედა ირაკლის ქეჩოში სწვდა და ის იყო სახლში უნდა შეეთრია, რომ ბიჭმა ქვა დაითრია და ტალახში გამხლართულ ღორს ფერდში სთხლიშა. დაფრთხა ღორი, ქალს დაეტყვა, კაბა გაუტალახიანა და ეზოდან გავარდა. დედა ღორს დაედევნა. მირბის ღორი და ყელზე გამობმულ გრძელ თოკს მინაზე მიათრევს. შეანელებს ღორი ნაბიჯს, დაიკუზება ქალი, თოკს უნდა სტაცოს ხელი, მაგრამ ირაკლი ღორს ისევ ქვას ესვრის და ყველაფერი ხელახლა იწყება. ბოლოს, როგორც იქნა, დედა თოკს დაენია და მაგრად ჩაბლუჯა. ილომ კი, ისე, თითქოს არაფერი მომხდარაო, წუმპესთან მიიბრინა და მოზრდილ ბაყაყს ჯოხი ღონივრად ჩასცხო. დედამ თოკი მოქაჩა, იქვე მდგარ ირაკლის ქეჩოში ჩააფრინდა, ილოსაც როგორც იქნა მისწვდა და პიანინოს სკამივით რამდენიმეჯერ შემოაბზრიალა. მერე ბიჭები ღორზე შესხა. ირაკლი კაი მხედარივით ღორს ჯაგარში ჩააფრინდა, ილოიამ კი ძმას ხელები წელზე შემოხვია. ღორი ეზოში ღრუტუნ-ღრუტუნით შევარდა და ილოია და ირაკლი საღორისავენ გააქანა.

მარიამ  
სოჭოლავა



ქალაქ სენაკის ფიული შარტავას სახელობის მე-2 საშუალო სკოლის მეოთხე კლასში სწავლობს. ცხრა წლის გოგონას ბებერი რამ აინტერესებს და იტაცებს. გთავაზობთ მარიამის 2 ლექსს, რომლებიც სიკეთითა და სივგარულით არის აღსავსე.

ჭებოს უბი

ბაღახისფერი, ჭაღარა  
სახლის სახურავი  
ფართო ეზო და კაკლის  
ხის ჩრდილი,  
თვალეზი თბილი და მოლოდინი,  
ჭაერი თბილი, ჭაერი გრილი.  
ზაფხული თბილი, ზამთარი რივი.  
ეს ამ სახლისთვის  
არაფერს ნიშნავს,  
ჩემი ღოღინით დაღლილი კუთხე  
ფგას შებოს სახლი  
წმიდათა-წმინდა,  
ულამაზესი რამეა ქვეყნად  
ჭაღარა სახლის ჭაღარა ჩრდილი,  
თვალეზი თბილი და მოლოდინი,  
ზამთარი თბილი, ზაფხული გრილი.


ჯალაბი

მე ძველ სენაკში ვნახე ჭაღარი,  
გულგამოღრღნილი და მუხლომავარი,  
გულგამოღრღნილი და სევდიანი,  
სულგამოწლილი, თუმც სულიანი.  
ჭაღრის ფოთოლთა შრიალი,  
მე მაგონებდა წარსულს,  
ჭაღრის ფოთოლთა გრილი,  
ფროს მახსენებდა წარსულს.  
მივეყრდენ ჭაღარს,  
მივეწდე ჭაღარს,  
ერთად ვსუნთქავდით მე  
და ჭაღარი,  
ის - წარსულიდან ვადმოფრენილი.  
მე - ჰანანინა ვარ მომავალი.



# ჯვარი

ჯვარი, ჯვარცმა (ბერძნ. „მორონცხებული“; ზეთის საცხებელი, აქედ. ქრისტე; ლათ ?, ძვ. გერ. „ქრისტე“, რუს. Крест უძველესი მარტივი გეოგრაფიული ფიგურა, ჯვარედინი ორი ჯოხის ფორმისა, უხსოვარი დროიდანვე ყველა ხალხში ფართოდ გამოყენებული სიმბოლური, ორნამენტული, მითოლოგიური, რელიგიური დანიშნულებებისა, პირველად მინაზე დასობილი ორი გადაჯვარედინებული ჯოხის სახე ჰქონდა (სამარეზე, მიჯნაზე და სხვ.), შემდეგ თანდათან გართულდა, მიიღო მრავალგვარი სახე, რომელთა უთვალავი რიცხვიდან ძირითადად სამ ჯგუფს გამოყოფენ: უბრალო ჰერალდიკური (საღერბო) ნიშანი, მრუდე და ფინლისებური (სამკუთხა იგრეკის მოყვანილობისა). ჰერალდიკაში არჩევენ ორმაგთავებიანს, მახვილკუთხას, ჩანგლისებურს, ეკლისებურს, სამკუთხობლოებიანს, წახრილთავეებიანს, ბურთულებიანს, კვეთილს, ისრისებურს, კავებიანს, სამყურასებურს, გველისთავეებიანს, სვასტიკას, ფრანგულს, ბურგუნდიულს, რუსულს, უნგრულს და ა. შ. მათ შორის ძალზე ორიგინალური და ჩანაფიქრით უძველესთაგანია ქართული ჯვარი ვახისა, ნმინდა ნინოს სიმბოლური ჯვარი, რითაც საქართველოში, ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში ქალმა სარწმუნოება გაავრცელა და არმაზის კერპი დაამარცხა. ლათინური ?-ს ფორმის ჯვარი ეგვიპტურია და მის მსგავსს ავზაყურიც ეწოდება.



(ბორბალში ჩახატული ჯვარი მზეს გამოხატავდა, კავებიანსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, ასევე ეკლიანს). ნინა აზიაში ბედნიერების სიმბოლო იყო. ებრაულ სარწმუნოებაში უფლისა და რწმენის ნიშნად ითვლებოდა. ბერძულ-რომაული მრავალსახოვანი ჯვარი სიცოცხლის სიმბოლიკაში დიდ როლს ასრულებდა. სიკვდილის სიმბოლო ამ ორნამენტმა პირველად არკადიულ სამარხებში მიიღო. ადამიანის მოყვანილობის ანალოგიამ განაპირობა ნაწილობრივ ჯვრის სიმბოლიკა ქრისტიანულ ეკლესიაში, სადაც ჯვარმა უაღრესი განვითარება მიიღო. ამ გადმო-

ღებულ საგანზე ხატავდნენ ქრისტეს III საუკუნიდან, პირველად არაჯვარცმულს, შემდეგ კი ჯვარი სწორედ იესოს წამების სიმბოლო გახდა. არც ისაა ცნობილი, რა სახის იყო „ქრისტეს ჯვარი“ პირველად, მაგრამ მასთან ერთად ჯვარცმულ ავზაყთა ჯვრებისგან არაფრით განსხვავდებოდა, ბედიც ერთი ჰქონდათ. დიდხანს რჩებოდა წარმართულ, ბერძულ და ლათინურ სიმბოლოდ, ქრისტიანობამ კი განავრცო მისი სიმბოლიკა და მარადიული, იმქვეყნიური სიცოცხლის, ქრისტეს ვნების, ხსნისა და ამაღლების ნიშნად დაამკვიდრა ეკლესიაშიც, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, ჰერალდიკაშიც (იმპერატორთა, პაპთა, ჰერცოგთა ღერბებზე და მთელ ქრისტიანულ მხატვრობაში).

ყველა აღნიშნული და გამოტოვებული მნიშვნელობა დაჩრდილა ჯვარცმამ, გამოსახულებამ, რომელზედაც ქრისტე ჯერ თოკებით იყო მიბმული ჯვარზე, შემდეგ კი მილურსმული, ხელ-ფეხიდან და მკერდიდან სისხლი ჩამოსდიოდა...

ქრისტეს ჯვარცმა გახდა ალორძინების დიდოსტატთა ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი თემა. ფრესკებზე, ფასადებზე, რელიეფებზე, ხატებზე და ა. შ. უამრავი მონუმენტური თუ


უბრალო სახე გამოიკვეთა და დაისატა.

მონუმენტური ხელოვნებიდან მსოფლიოში ცნობილია ქართული, კერძოდ სვანეთში დაცული ჯვარცმები. ურიცხვი ჯვარი და ჯვარცმა მსოფლიო ხელოვნების საგანძურს ამშვენებს.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ჯვარს ბოროტების განმარიდებელი მნიშვნელობა აქვს. ქრისტიანულ სიმბოლოდ იქცა მას შემდეგ, რაც იმპერატორ კონსტანტინეს დედამ ელენემ აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს (326 წ.) თითქოს იერუსალიმში მიაგნო ხის დიდ ჯვარს, რომელზეც იესო ჯვარს აცვეს. სინამდვილეში ჯვრის სიმბოლიკა ჯერ კიდევ ასურულ-ბაბილონური, ინდური, ჩინური, ბერძნულ-რომაული რელიგიებისთვის არ ყოფილა უცხო,

და მათთანაც კი „ახალი“, რამდენადაც ამ სიმბოლიკაში ხედავენ პირველყოფილი ადამიანის ხელით გადაჯვარედინებული სივრცის სივრცის გაჩენის პრაქტიკას, თუმცა გადაჭრით ახლა ეს ვერსია შეიძლება სარწმუნოდ ჩაითვალოს. საქრისტიანომ უდავოდ უფრო მოგვიანებით მიიღო ჯვარი სარწმუნოებრივ სიმბოლოდ (ტაძრებიც ჯვარის ფორმით არის აგებული). ქართული ვაზის ჯვარი ნინომ შეკრა მზის სხივთა სიმბოლიკით – თმით (ვაზი – ყურძენი – ღვინო მზის ძალას შეინოვს, ესაა იგივე სიცოცხლის ხის სახეობა).

აპაკი ბელოვანი,  
„მითოლოგიური ლექსიკონი“.



I. ლათ. ჯვარი; II. ბერძნ. (სწორი); III. ეგვიპტ. (T ფორმის); IV. ბორბლისებური; V. კავებიანი (კრუქს გმატა, სვასტიკა); VI. ქრისტეს მონოგრამა, ბერძნ. ასოს X ფორმისა; VII. პაპის; VIII. ბანქოს ჯვარი. 1. ლათ. (IV ს-დან); 2. უძველესი (ინეიტა, კონსტანტინეს აღამზე და სხვ.; ქრისტეს სიმბოლო); 3. თოფანის – ვატიკანის მღვიმის სარკოფაგიდან; 4. გემების, სპეკალებიანი (კრუქს გემმატა); 5. საიმპერატორო, პორტრეტებიანი; 6. ქრისტეს გამოსახულებიანი – იმპერატორის მაგიერ, ან წინა მხარეს ქრისტე, უკან – იმპერატორი. რავენა, 549; 7. ძალაუფლების სიმბოლო, იმპერატორის სკიპტრა, კონსტ. დიდისა რომი (400-500); 8. კოსმოლოგიური დანიშნულებისა, მარადისობის სიმბოლო, ეგვიპტე მყოფი მაცხოვრისა; 9. ციური ღერძით, 4 ქარისა, 4 სამოთხის მდინარის, ფიგურებიანი (ოქრო-ვერცხლისა, ან ქრისტიანობის სიმბოლიკით, 390 წ.); 9. რუსული ჯვარი ჭეშმარიტი (ქართული ჯვარი ცხოვრებისა) – იმპერატორის ძალაუფლების სიმბოლიკით, ასევე დას. ევროპაში: ლოთარის, მეროინგების ჯ.; 10. ლოთარის; კაროლინგების – სპილოს ძეგლისა; 11. გვიანი რომანტ. (ტრიუმფ. ჯ.); 12. სიცოცხლის ხის სიმბოლიკით, ფლორტიებიანი; 13. იოანითა (მალტელთა) ჯ.; ანტიონითა ემბლემა, 5 ჯვარის კომბინაცია – იესოს 5 ჭრილობის სიმბოლო; აქედ. იერუსალიმის ჯ.; 4 სხვა ჯვრით (1180-დან); 14-15. სწორკუთხა (ანგელოზებით, სახარების სიმბოლიკით, ღერბებზე, ეკლესიაში); იგ. პაპისა.



# ანგელოზი

ნუსხელ ვიხილე მე საოწრება,  
თითქოს ამიხდა დიდი ორენა –  
გამომეცხადა თვით ანგელოზი  
დიდხანს ვიდრე და შევწყეროდი  
ანთებულყოფი როგორც სანთელი,  
რომ მოჭყენოდა ირგვლივ ნათელი,  
მაგრამ... ნათელია იხყო ჩაქრობა  
იმ ჩვენებამ კი უმაღ გაქრობა.



ქართული  
ლიტერატურა

# ოცნებები

## ღაბა

დაღამდა, მთვარე გამეფდა,  
თეთრი დღე მუქად განელდა,  
წაზე ვარსკვლავი ანთო,  
წიმიშით ძლიერ გაერთო.  
მე კი დავდივარ, არც მთვარე  
მართობს...

მერე გათენდა, თუშერ მზერ  
კერ მათობს  
დღის შუქმა თვალი მომჭრა და  
ისევ სიბნელი, ღამე მომიხდა.  
დავდივარ, დავხევიანობ, ღობეს და  
ყორეს ვეფები,  
უფალს ვემთხვევი, ვლორწულობ,  
სულის ორენის ვფორებთ.



## ჯაბა დალაქიშვილი

თბილისის 126-ე საშუალო  
სკოლის მერვეკლასელია. ჯა-  
ბას ძალიან უყვარს მუსიკა,  
უკრავს გიტარაზე და მღერის,  
აინტერესებს საქართველოს  
ისტორია, მთელი სერიოზულო-  
ბით ეუფლება ინგლისურ ენას.

# ივლისის წვიმა

მე ივლისის წვიმა ვარ, შენს ფანჯარასთან  
დაყუდებული.

მე ფიქრი ვარ, რომელიც შენს თავს მაგონებს.

მე თოვლი ვარ, რომელსაც შენ ეაღიერებ.

მე წამი ვარ, რომელსაც შენ ვერ ამჩნევ.

ჩემი წრემლები კი შენს სიბნელს ითხოვენ,  
ჩურჩულით იძახიან სიტყვებს, რომლებსაც  
შენ ივიწყებ.

მე ის ვარ, ვისაც ძლიერ უყვარხარ. ვინც შენზე  
ორენაზე ატარებს დღეს, ვინც შენს სიხლოვეს  
აღმერთებს და ვინც შენს გულის ფიქვას გრძობს.  
ჩემი სიყვარული მხოლოდ შენია და არ  
არის სხვისი.

მე ივლისის წვიმა ვარ, რომელიც აი ახლა შენს  
ფანჯარას ასველებს.

შენ კი არ ფიქრობ ჩემზე, არ მინვდი ხელს და  
არ ელი წვეთის დარქმას. არადა, ეს წვეთი ჩემი  
წრემლია, რომელიც კვლავინდებურად  
შენით სულდგმულობს.

შენ ეს ყოველივე სიზმრად გეჩვენება და  
გაღვიძებას ღამობ. მე კი ვთხოვ, არ გაღვიძო,  
არ დაივიწყო ჩემი არსებობა და

ნუ მიმაგდებ ამ დღეს.

მე ივლისის წვიმა ვარ, რომელსაც შენ  
უყვარხარ, რომელსაც შენ სჯირდები.  
წვიმა და არაფერი სხვა.

# კაცობა

შენი კორნა ლოყაზე შემაშრა...

არვინ მიკარებია მარცხენა ლოყას...

მე შენი მჯეროდა, ჩემო პატარავ, მე შენი  
თბილი სიტყვების მნამდა...

არ ვიცი რისთვის მიყვარდი, არ ვიცი რატომ,  
მაგრამ მნამდა, რომ შენ სიძარბოებს  
იძახდი კვლავ.

შენი კორნა ლოყაზე შემაშრა...

შენი ვარდი ჩემს მაგიდაზე დაჯდა...

დრო გავიდა და ახლა მე სვალინდელი  
დღის მეშინია.

წვიმდა, რატომ საოწრად წვიმდა. წვიმდა გულში და  
წვიმდა გარეთ. ჩვენი სექტემბრის წვიმა

მოდიოდა ღამით.

შენ ქურთუკს ფრთხილად მაძლევდი, მეფიქრობდი,  
რომ გიყვარდი, მე კი მჯეროდა, ჩემო პატარავ, მე  
შენი თბილი სიტყვის მნამდა.

მე აღარ შემეძლო წერა – რადგან სიტყვებს  
შენვე ამბობდი...

მე წერილები დავწვი, მაგრამ იყი?

შენი კორნა ლოყაზე შემაშრა...

ქაიტი გეზარძე, თბილისის 161-ი  
სკოლის IX კლასის მოსწავლე



# ოცნებები

ცხადია, თითოეულ თქვენგანს უნდა ლამაზად და კონტად გამოიყურებოდეს. სულ სარკის წინ ტრიალებით, ლამაზდებით, სახესაც საგულდაგულოდ უვლით, თმასაც, ხელები კი რატომღაც გაეინფიცირება. არადა მოუვლელი ხელები იმდენად თვალში საცემია, რომ შეიძლება ძალიან ლამაზიც იყო, მაგრამ მოუნესრავებელმა ხელებმა და ფრჩხილებმა გაგიფუჭოს საქმე. გაისხენ რამდენი შენი თანატოლი იჭრის მეტისმეტად მოკლედ ან სულაც იკვნეტს ფრჩხილებს, ახლა ბრტყალებით მოზრდილი და ნამახვილებული ფრჩხილები რამდენს აქვს!

ისეთებიც არიან, ფრჩხილებზე ჭახტახა ფერის ლაქს რომ ისვავენ, ქვეშიდან კი შავად აქვთ ჭუჭყით მოვარაყებული. ხელის კანიც ხომ ბევრს უსკდება და ეშაშრება...

არა, ჩემო კარგო, თუ გინდა, რომ კარგად გამოიყურებოდე ხელებს უნდა მოუარო. მამ ახე — მივხედოთ ხელებს!

თუ მუდმივად არა, ალბათ დროდადრო მინც ეხმარები დედას საოჯახო საქმეებში, ჰოდა დაიმახსოვრე:

## ფრჩხილებით

თუ ახალი კარტოფილი გაუცქეპნი და თითები გაგიშავდა, ხელები ჯერ ცივი წყლით დაიბანე და ჯაგერისით გაიხეხე, მერე კი ლიმონის წვენი ან პომიდურის კანი გაიწმინდე.

კარგი იქნება, თუ ახლავე მიიჩვევი საქმის კეთების დროს რეზინის ხელთათმანების ხმარებას. კიდევ ერთი ეფექტური და ძალზე მარტივი საშუალება — ნებისმიერი ჭუჭყიანი საშუალოს შემდეგ საკმარისია ხელით გარეცხო სარეცხი.

რომ როგორ ღრმადაც უნდა იყოს ჭუჭყი ჩამოღარი, ხელების სისუფთავე უზრუნველყოფილი იქნება.

გახსოვდეს, რომ ხელების დაბანვისა თუ სარეცხის გარეცხვის შემდეგ კანზე აუცილებლად უნდა წასვა სპეციალური ხელის კრემი ან ნებისმიერი ცხიმიანი კრემი, თორემ წყლისგან გამომშრალი კანი გაგიუხეშდება და დაგისკდება.

რა თქმა უნდა მანიკურის სპეციალისტი უფრო უკეთესად გაგიკეთებს და უფრო სწრაფად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მისი მომსახურებით სარგებლობა გამოირიცხება. მოდი, შევთანხმდეთ — თვითონ ისწავლე მანიკურის კეთება, ხოლო საამისოდ უწინარეს ყოვლისა დაიმახსოვრე — ფრჩხილები ყოველ კვირას საჭიროებს მოწესრიგებას.

დავიწყეთ იარაღებით. მანიკურის იარაღების ნაკარები ყოველ ოჯახში უნდა იყოს. თუ იარაღებით ოჯახის რამდენიმე წევრი სარგებლობს, ყოველი ხმარების წინ და შემდეგ ისინი საგულდაგულად უნდა გაიწმინდოს სპირტით ან ოდეკოლონით. მანიკურის ნაკარებში შედის ორი მაკრატელი — ერთი სწორი ბოლოებით და მეორე — მოღუნული ბოლოებით (ფრჩხილთან კანის მოსაჭრელად), საკენტელა ნუნების მოსაცილებლად და ქლიბები ფრჩხილების შემოსასწორებლად. კოვზის მსგავსი ბლაგებოლიანი შპატელი ფრჩხილისა და თითის შორის არსებული სქელი კანის ჩასაწვეად არის განკუთვნილი, მეორე, ბასბოლიანი ასეთივე იარაღი კი ფრჩხილების ქვეშ დაგროვილი ჭუჭყის გამოსაწმენდად არის მოსახერხებელი. მანიკური ძველი ლაქის ნარჩენების მოცილებით უნდა დაიწყო, როგორც წესი, ეს აცეტონით ან სპეციალური ვიტამინიზებული სითხის მეშვეობით ხდება. ლაქის მოსაცილებლად აცეტონში დასველებული ბამბა რამდენიმე წამით მიიღე ფრჩხილზე.

შემდეგი ეტაპია ფრჩხილების შემოქლიბვა. აიღე ქლიბი და შემოიღამაზე ფრჩხილები, ოვალური მოყვანილობა მიეცი მათ. ნუ ეცდები ფრჩხილების წამახვილებას, ეს ულამაზოც არის და მოუხერხებელიც. ქლიბი ფრჩხილის ნაპირებიდან შუისკენ უნდა ამოძრავო, ხოლო თუ წინ და უკან გაიტარებ, ფრჩხილების კიდეები ხორკლიანი გამოვა და შეგაწუხებს. ქლიბი წმინდა უნდა იყოს, ამასთან სულ არ არის საჭირო ძალის გამოყენება, ქლიბი ფრთხილად, ნაზად წაისვი.

ვეფქობთ, ზედმეტია იმის შესენება, რომ ვიდრე მანიკურის კეთებას შეუდგები, ხელები კარგად უნდა დაიბანო საპნით, ის კი შეიძლება არ იცოდე, რომ მოსაჭრელი კანის დასარბილებლად ფრჩხილებს სპეციალური აბაზანაც სჭირდება. პატარა ჯამში ჩაასხი თბილი

წყალი, შიგ ბაგების საპნი ააქაფე და წაწივე ფრჩხილები, ჩაყავი ხელები, ამის შემდეგ თითებზე მკვებავი ან სპეციალურად ფრჩხილებისთვის განკუთვნილი კრემი წაისვი.

უკვე გაიკეთე აბაზანა? მამ აიღე შპატელი — „კოვზი“ და ფრთხილად ჩაწიე დაბლა კანი. ფრჩხილის პირთან. ხშირად ქლები ამ კანს იჭრიან, მაგრამ მაშინ ეს პროცედურა რეგულარულად უნდა კეთდებოდეს, მაგრამ თუ ამ კანს არ მოიჭრი, ის არც გაიზრდება, ჩვენ კი არ გირჩევთ მის მოჭრას, ჯერ ერთი ჩნდება თითის გავრცობის და ინფექციის შეტანის საშიშროება, გარდა ამისა, მარცხენა ხელით მარჯვენაზე კანის ფაქიზად მოჭრა გაგიჭირდება.

ამის შემდეგ საგულდაგულად გაიწმინდე ადგილები კანსა და ფრჩხილს შორის, ხოლო როცა ამ პროცედურასაც ჩაიტარებ, ერთი-ორი წუთით თითები ისევ აბაზანაში ჩაყავი, მერე კი ფრჩხილის ბოლოებზე ნაზი წმინდა ქლიბი გაიტარე, ხელები და ფრჩხილები გაიმშრალე და მორჩა! დახედე საკუთარ ხელებს, ხელე, როგორ გაგიღამაზდა?! ახლა კი შეგიძლია ლაქიც წაისვა. გახსოვდეს: უმჯობესია საერთოდ არ წაისვა ლაქი, ვიდრე ნახევრად ლაქაქერცლილი ფრჩხილებით იარო.

## დანყებუდი...

ლაქის შერჩევას აუცილებლად გაითვალისწინე საკუთარი ხელების მოყვანილობა, კრიტიკული თვლით შეხედე მათ. გვინდა ვითხრათ, რომ ჩახჩახა წითელი ან სხვა მეტისმეტად თვალში საცემი ფერის ლაქი დიდ და მოკლეითებიან ხელებს კიდევ უფრო ტლანქს ხდის. ასეთი ლაქები მოკლე ფრჩხილებზეც უშნოდ გამოიყურება და მეტისმეტად გრძელებზეც. ასევე პრეტენზიულია



თეთრი პერლამუტრი და ბრტყალებიანი ლაქიც. ნაზი ვარდისფერი, პირისფერი, ბაცი ჩალისფერი კი ნებისმიერი მოყვანილობის ხელებსა და ფრჩხილებს უხდება. ლაქის ფერი, ელფერი და სიამაშავე დამუყიდებელია დღის დროის მონაკვეთსა და შესწამისა და შენს საქმიანობაზე. ვეფქობთ, დაგვეთანხმები, რომ გაკვეთილებზე კამკამა წითელ ფერად შედებილი ფრჩხილებით სიარული სულ რომ არაფერი, უხერხულია, საღამოს დისკოთეკაზე კი ეს ფერები საკვებით მისაღებაა. ხოლო თუ მაინცდამაინც გინდა სოლამდე ფრჩხილებზე ლაქწასუღმა იარო, ლაქის ფერი ნეიტრალური, ბუნებრივთან მიახლოებული უნდა იყოს.


ამდენი ვისაუბრეთ, ის კი არ გვითქვამს, როგორ უნდა წაისვა ლაქი. იმისათვის, რათა ლაქი კარგად წაესვას, ფრჩხილებზე ჯერ თხლად წაისვი უფერული ლაქი, ძირითადი ლაქი კი ორ ფენად უნდა წაისვა, ამასთან ყოველი ფრჩხილისთვის ფუნჯი თავიდან უნდა ჩააწო და ზუსტად იმდენი ლაქი უნდა ამოიღო, რომ ფუნჯიდან არ წვეთავდეს. ყველაზე მოხერხებულია ლაქის წასმა ოთხ ფერად — ჯერ ერთხელ ფრჩხილის ცენტრში, მერე ორჯერ — გვერდებზე და ბოლოს მთელ ფრჩხილზე. სხვა ხერხიც არსებობს — ჯერ იღებება ფრჩხილის ზედა ნაწილი, მერე გვერდები და ცენტრი.

იმისათვის, რომ ლაქი სწრაფად გამრეს, შეგიძლია ხელის გულები ერთმანეთს უსვა, ხელების ქნევას კი არ გირჩევთ — ასე შეიძლება ახალ შედებილი ფრჩხილის ზედაპირზე ბუმბუკები გაგიჩნდეს.

დასასრულ კიდევ ერთი რჩევა. აქამდე ჩვენ მხოლოდ მანიკურის დეკორატიულ მხარეზე გვსაუბრებოდით, ახლა კი გვინდა ორიოდ სიტყვა ფრჩხილების ჯანმრთელობაზეც ვითხრათ.

თუ ძალიან მყიფე და მშრალი ფრჩხილები გაქვს, თუ ფრჩხილები ადვილად გტყდება, კვირამი ერთხელ ზეთის აბაზანები გაიკეთე — რამდენიმე წუთით ჩაყავი თითები ზეთის ხილის ან სხვა რაიმე მცენარეულ ზეთში. შეგიძლია ბალახის და მუხის ქერქის ნაყენის სამკურნალო აბაზანებიც გაიკეთო და კიდევ — ხშირად ჭამე სტაფილო და ისპანახი, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს ა ვიტამინს, რომელიც მარტო შენი ფრჩხილებისთვის კი არ არის საჭირო, არამედ თმისა და კანისთვისაც.

# შეყვახებული



იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა წყალქვეშა ნავი. მთლიანად მოსვენებული ფოლადისა იყო, რვა პირი ჰქონდა — რვა ტორპედოს აპარატი, ერთი თვალი — პერისკოპი და ერთიც ზარბაზანი ზურგზე.

ეს პატარა ნავი ძალიან უკმაყოფილო იყო თავისი ბედისა და ყოველთვის ნაღვლიანად გამოიყურებოდა. ის საომრად ააგეს, მთელი სიცოცხლე მარტოდ მარტოს უნდა ეცურა წყალქვეშ, დიას, მარტოდ მარტოს, ეულად, ამ უზარმაზარ ოკეანეში. უნდა ეცურა, გემებს უნდა ჩასაფრებოდა ყაჩაღებით და ტორპედოები დაეშინა მათთვის.

ნაღვლიანი ნავს ბევრჯერ უფიქრია: „ვინ ვარ მე? დავცურავ წყალქვეშ თევზებით, მაგრამ რკინისგან ვარ გაკეთებული, ერთი ძვალაც კი არა მაქვს. გემს კი ვგავარ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ზღვებსა და ოკეანეებში დავცურავდე, წყლის სიღრმეში ვიმალები. ო, ნეტავ თავისუფალი ვიყო! და ნეტავ ეს აუტანელი კაპიტანი არ არსებობდეს, ერთთავად საჭეს რომ ატრიალებს და საითაც მოეპრინება, იქით მიმათრევს. თევზები ჩემზე ბედნიერები არიან“...

და აი ერთხელაც პატარა წყალქვეშა ნავმა ატლანტის ოკეანეში სხვა ნავს მოჰკრა თვალი. ის ნავი მისკენ მოცურავდა, თანაც ძალზე სწრაფად. მაგრამ უცნაურია! მისი ძრავები არ ხმაურობდა, მისი ზურგიდან კი მალალი შადრევანი სცემდა.

იქნებ თევზია? მაგრამ პატარა წყალქვეშა ნავს არასდროს ენახა ასეთი დიდი თევზები. არა, ალბათ წყალქვეშა ნავიაო, — გაიფიქრა პატარა წყალქვეშა ნავმა და ერთადერთი თვალით მიაჩერდა იმ ნავს.

მაგრამ პირი ასე დიდზე რატომ აქვს დაღებული? ნეტავ მილიმის თუ მეტეტურება? პატარა წყალქვეშა ნავმა ყოველი შემთხვევისთვის პირი გააღო, პირი კი არა რვავე პირი — რვა ტორპედოს აპარატი. და როდესაც ნავი სულ ახლოს მიცურდა, უბრძანა:

— სდექ! არ დაიდრა! ვინა ხარ?

— როგორ? ვერ მცნობ? მე ვეშაპი ვარ. შენ ვინა ხარ, ასეთი თევზები არასდროს მინახავს.

— მე წყალქვეშა ნავი ვარ, — ღირსებით უპასუხა წყალქვეშა ნავმა — ადამიანებმა ამაგეს.

— ძალიან სასიამოვნოა, — მიუგო ვეშაპმა და გაუღიმა, — ჩვენ თითქმის ნათესავეები ვყოფილვართ. იცი, როგორ მინდოდა ვინმესთან თამაში, მაგრამ ყველა თევზი ისეთი პატარაა. გინდა გავერთოთ?

— რა თქმა უნდა, მინდა, — უპასუხა წყალქვეშა ნავმა და იმისათვის, რათა ვეშაპისთვის დაენახებინა, როგორი მარდი და ყოჩალი იყო, ღრმად ჩაყვინთა და უმაღლვე ამოყვინთა.

წყალქვეშა ნავის სტომაქში მყოფი მებღვაურები თავთავიანთი ადგილებიდან გადმოცვივდნენ და კოტრიალით დაგორდნენ ძირს, კაპიტანმა კი დაიყვირა:

— ათასი ჭურვი! ვიძირებით!

მაგრამ წყალქვეშა ნავმა ყურიც არ ათხოვა, იგი ვეშაპის გვერდით მიცურავდა წყალქვეშ. ვეშაპი ზღვის სიღრმეს აცნობდა მას. წყალქვეშა ნავს ეჩვენებოდა, რომ სულ სხვა, მშვენიერ სამყაროში მოხვდა, სადაც ცის ნაცვლად წყალია, მინის ნაცვლად კი ოკეანის ფსკერი. მათ თვალწინ სხივმფენი მარჯნით მოკირწყლული ქუჩები მიცურავდა. წყალმცენარეთა წითელ, მწვანე და ყვითელ ტყეებში ბილიკები ნიჟარებით იყო მოფენილი და თევზები გუნდ-გუნდად დასეირნობდნენ ამ ბილიკებზე.

ვეშაპმა ყველა წყალქვეშა დინება იცოდა. ნავი მოჯადოებულებით მიჰყვებოდა მას. თევზები ალერსიანად ხედებოდნენ ნავს. ზვიგენებიც კი ნათესავით ესალმებოდნენ.

— შენ მარტო ცხოვრობ? — ჰკითხა წყალქვეშა ნავმა ვეშაპს.

— არა, მშობლებთან ერთად, — უპასუხა ვეშაპმა. — მე უფრო ჩრდილოეთით ვცხოვრობ. გინდა, იქით გავცუროთ, ჩემს მშობლებს გაგაცნობ.

წყალქვეშა ნავს ძალიან უნდოდა, ვეშაპს გაჰყოლოდა, მაგრამ კაპიტანი შეშლილივით ყვიროდა: „ათასი ჭურვი!“ — და გააფთრებით ატრიალებდა ყველა სამართავ ბერკეტსა და სახელურს და წყლის ზედაპირისკენ ეწეოდა ნავს. ო, როგორც სჭირდებოდა ახლა წყალქვეშა ნავს თავისუფლება!

— მე ვერ გამოგყვები, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა წყალქვეშა ნავმა, — რაღაც საქმეები მაქვს გასაკეთებელი და შინ უნდა დავბრუნდე... — და წყალქვეშა ნავმა ოკეანის ზედაპირზე ამოყვინთა.

ვეშაპმაც ზევით ამოცურა, წყალქვეშა ნავი სულ უფრო შორს მიცურავდა, სულ უფრო სცილდებოდა ვეშაპს, მაგრამ ნაღვლიანად მომზირალ ერთადერთ თვალს მაინც არ აცილებდა მას. ვეშაპმა ნავს კული დაუქნია და ოკეანის ტალღებში გაუჩინარდა.

— დაბრუნდი! — დაუძახა ვეშაპმა და გამომშვიდობების ნიშნად მალალი შადრევანი ამოუშვა — იცოდე, გოლფსტრიმისა და სამხრეთ დინების გზაჯვარედინზე დაგელოდები...

თავის სიცოცხლეში პირველად გაიცნო წყალქვეშა ნავმა ზღვის ბინადარი. მანამდე თევზები არაფრად აგდებდნენ მას, არ ცნობდნენ. არც გემებს უნდოდათ მასთან მეგობრობა, ის ხომ იმისთვის არსებობდა, რომ გემები ჩაეძირა და ისიც მუდამ მარტო იყო. და განა უმეგობრებოდ ცხოვრება ადვილია?

პატარა წყალქვეშა ნავი გულისფანცქალით ელოდა ვეშაპთან შეხვედრას. ერთხელაც მან კაპიტნის მიერ დასახული გეზი შეცვალა და თავისი გზით გასცურა, ვეშაპის შესახვედრად. კაპიტანი ისეთ ლანძღვა-გინებებს მოყვა, რომ წითელი თევზები გათეთრდნენ, თეთრი თევზები კი განითლდნენ. რა თქმა უნდა, არასასიამოვნო იყო, მაგრამ

მას ვეშაპი ელოდებოდა და წყალქვეშა ნავმა კაპიტანი სულ დაივიწყა. დიდხანს თამაშობდნენ, ჭყუმპალაობდნენ და დაცურავდნენ უზარმაზარ ოკეანეში.

ვეშაპს ბევრი მეგობარი ჰყავდა: დელფინები, შიმშურები და ვეშაპმა ნავს ყველა მათგანი გააცნო. კაპიტანი კი ბოლმით სვდებოდა, ღრიალებდა: „ათასი ჭურვიო!“ და მთელი ძალით აწევებოდა საჭეს, სტკენდა ნავს. ბოლოს მაინც დააბრუნა პორტში.

იქ, პორტში, პატარა წყალქვეშა ნავი სამხედრო ხომალდების გვერდით იდგა და თავს ეუღლად გრძობდა, სევდა მოეძალა. ველარ იტანდა, როცა ზარბაზნებსა და ტორპედოებზე ლაპარაკობდნენ, ეს ტრაბახი და ბოროტი ლაქლაქი ჩაძირულ გემებზე გაუსაძლისი გახდა მისთვის. მას შემდეგ რაც ვეშაპს შესვდა, სხვაზე ველარაფერზე ფიქრობდა. სულ თვალწინ ედგა ვეშაპის კეთილი, სანდომიანი სახე და შადრევანი, რომელსაც იგი მისი დანახვისას ამოტყორცნიდა ხოლმე ზურგიდან. და როგორც კი წყალქვეშა ნავი ისევ გავიდა პორტიდან, კვლავ იცვალა კაპიტანის მიერ დასახული გეზი და ვეშაპის საქმენივად გაეშურა. რამდენიც უნდა იყვიროს კაპიტანმა „ათასი ჭურვიო!“, როგორც უნდა დაანეგს საჭეს!

ნავი და ვეშაპი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და კვლავ თამაშობდნენ მარჯნებში და მაშინ ვეშაპმა უთხრა:


— მოდი, დარჩი აქ! ყველა თევზი შენი მეგობარია, ერთად ვიმხიარულებთ და ვითამაშებთ.

რა უნდა ეპასუხა წყალქვეშა ნავს ვეშაპისათვის? რომც ეთქვა რამე, გაუგებდა? ვეშაპი ხომ თავისუფალია, მან კი გემები უნდა ძიროს და ამ საზიზღარ კაპიტანს უნდა დაემორჩილოს.

ერთხელ პორტში პატარა წყალქვეშა ნავმა გაიგონა, როგორ თქვა ვილაძამ:

— დღეს ჩვენ პორტიდან არ გავალთ. ატლანტიკაში ვეშაპებზე დიდი ნადირობა იმართება. ვეშაპზე სანადირო გემებზე ჭურვების გახარჯვას აზრი არა აქვს. წყალქვეშა ნავი შესტა კიდევ. მისი მეგობარი საფრთხეშია! ძალღონე მოიკრიბა, ბაგირები დაწყვიტა და სრული სვლით გავიდა ღია ზღვაში. „ათასი ჭურვიო!“ — ღრიალებდა გამშაგებული კაპიტანი და ბრძანებას ბრძანებაზე იძლეოდა. მაგრამ განა ახლა ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა? წყალქვეშა ნავი გამალებული მიცურავდა ოკეანეში, თავის მეგობარ ვეშაპს ეძებდა.

და იპოვა. ვეშაპმა შორიდანვე მოჰკრა მას თვალი და ის იყო, მისალმების ნიშნად შადრევანი უნდა ამოეტყორცნა, რომ ამ დროს პატარა შავი გემი გამოჩნდა. გემი პირდაპირ ვეშაპისკენ მოდიოდა. მის ცხვირზე ზორბა კაცი იდგა და ვეშაპს ზარბაზანს უმიზნებდა. წყალქვეშა ნავი კარგად ერკვეოდა ზარბაზნებში. აი ახლა ზარბაზანი გაისვრის და... უმაღლ მიხვდა, რაც ემუქრებოდა მის მეგობარს. წყალქვეშა ნავი ვეშაპზე სანადირო გემისკენ გაქანდა და საკუთარ თავზე მიიღო დარტყმა. ბარჯი წყალქვეშა ნავს მოხვდა და მან თავი ძლივს შეიკავა, რომ ტკივილისგან არ დაეგმინა. ვეშაპი მეგობართან მიცურდა და ჰკითხა: „გტკივა?“ მერე კუდი გადაუსვა იმ ადგილზე, სადაც ბარჯი მოხვდა. რა თქმა უნდა, სტკიოდა წყა-



ლქვეშა ნავს, მაგრამ ვეშაპი ისე სწუსდა და ისეთი ყურადღებიანი იყო მის მიმართ, რომ ნავმა სიხარულისა და სიამოვნებისაგან ილუმინატორები დასუჭა. კაპიტანი კი კვლავ ბობოქრობდა ნავის სტომაქში: „ათასი ჭურვი! ბრძანებებს არ ემორჩილება! ვეშაპზე მონადირე გემებს ებრძვის! ასეთი წყალქვეშა ნავის წყალობით ყველანი ზვიგენის ხახაში აღმოვჩნდებით! არა, კმარა, ყელში ამოვივიდა. დავბრუნდებით პორტში და დასაშლელად ჩავაბარებ, მორჩა და გათავდა!“

წყალქვეშა ნავი შეკრთა. ადრე, სანამ ვეშაპს გაიცნობდა, სიკვდილისა არ ემინოდა. მაგრამ ახლა... ახლა სხვა საქმე იყო — მას უნდოდა ეცოცხლა.

— დარჩი აქ, — უთხრა ვეშაპმა. — დიდი ხანია გეხვეწები, ჩვენთან დარჩი-მეთქი. ამბოხი მოაწყევ და დარჩი. ადამიანებს არ სჭირდებათ შენაირი გემები. სულ ნუ იქნება დედამინაზე ომები. აქ ხელს არავინ გახლებს. თევზებივით თავისუფალი იქნები და ოკეანე შენი სახლი გახდება.

წყალქვეშა ნავი თვითონაც ფიქრობდა ამაზე და როდესაც კაპიტანი მთელი ძალით დაანვა საჭეს, რათა ნავი პორტში დაებრუნებინა, წყალქვეშა ნავი შესტა.

— კმარა, — შეჰყვირა მან და გადარეულ ცეკვას მოჰყვა. ჩაყვინთავდა, ამოყვინთავდა, ტალღებში დასრი-ალბდა და ყვიროდა: — კმარა! კმარა! მინდა თავისუფალი ვიყო, თევზებივით თავისუფალი. ჯისურიდან მეზღვაურები გამოცვივდნენ, სამაშველო რგოლებს ირგებდნენ, ხოლო მედღუზასავით გაფითრებული კაპიტანი ახლა უკვე „ათას ჭურვს“ კი აღარ გაიძახოდა, „მიშველეთ, ვისაც შეგიძლიათ“ — გაჰყვიროდა.


შესაძლოა გაზეთებში ნაივითხეთ ცნობა: „ოკეანეში ვეშაპზე მონადირე გემთან შეჯახების შედეგად ჩაძირა წყალქვეშა ნავი“. მამ, იცოდეთ, რომ ეს ტყუილია. ნავი არ ჩაძირულა. უბრალოდ მან ახალი ცხოვრება დაიწყო.

ვეშაპთან ერთად დაცურავს. ვეშაპმა თავისი ოჯახი გააცნო მას, ნავს გულითადად შეხვდნენ, მიუაღერეს და შეიტკბეს.

ნავი და ვეშაპი სულ ერთად არიან. თევზებმა შეიყვარეს პატარა წყალქვეშა ნავი, ის კი არა, ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც სამუდამოდ მიეკვრნენ მის ტანს.

ლამით ოკეანის ფსკერზე, მედღუზების შუქზე წყალქვეშა ნავი ხშირად ეუბნებოდა ხოლმე ვეშაპს:

ძალიან მაღლივი ვარ შენი. აქ, თევზებს შორის, მე ვიგრძენი, რომ მხოლოდ მეგობრობას შეუძლია ბედნიერების მონიჭება.



## მაინს ვინ არიან ეს ბოშები?

ძაიან მინდა ვიცოდე ჩამე  
ციგნების, ბოშების შესახებ. ვინ  
აჩიან ისინი, აქვს თუ აჩა ამ  
ხაღხს სამშობლო, საკუთარი ენა?  
ნეთუ ეს მანანნალები და  
მათხოვიები შეადგენენ ამ ეჩის  
სახეს? სამნუხაიოდ, ვეჩანაიხ  
ნუაიხოს ვეი ვპოულობ, იქნებ  
თქვენს ეუჩნაღში დაბეჭდოთ ჩამე  
მათ შესახებ.

ნინი ბაჩამიძე, 15 ნღის, თბიღისი



ბოშების, წარმოშობის საკითხი, მათი ისტორია მრავალი საუკუნის მანძილზე შეუსწავლელი რჩებოდა. უცნობი იყო გზებიც, რომლებითაც ისინი ევროპაში მოვიდნენ, მათი ენაც და ადათ-წესებიც. თავად ბოშები თავს ასაღებდნენ მომლოცველებად, რომლებსაც სარწმუნოებისთვის სღვენიდნენ. ამით უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ სიტყვა „ბოშა“ სხვადასხვა ენაზე სხვადასხვანაირად ჟღერს. თვითონ ბოშები საკუთარ თავს უწოდებენ „რომას“, რომებს ანუ მანუსებს, რაც ადამიანს ნიშნავს.

ყველაზე გავრცელებული იყო მოსაზრება ბოშათა ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ. ვარაუდობდნენ, რომ ამ ხალხმა მთელი მსოფლიო შემოიარა და ჩვენი წ. ა. პირველ საუკუნეებში ცენტრალურ ამერიკამდე ჩამოაღწია. თუმცა ზოგი მკვლევარი მათ წინაპრებად სარკინოზებს, ამორიტებს, თათრებს, გერმანულ ებრაელებს მიიჩნევდა.

ყველა პიწოთუწა გაბათიღდა XVIII საუკუნეში, როცა საბოლოოდ დადგინდა, რომ ბოშები ინდოეთიდან არიან, ხოლო მათი ენა თავისი გრამატიკული და ლექსიკური შემადგენლობით უახლოვდება სანსკრიტს, ქაშმირს, ჰინდის, გუჯარათის, მარათჰის და ნუპალის. გაურკვეველი მიზეზით ბოშები დაახლოებით ათასი წლის წინათ დაძრულან ინდოეთის სუბკონტინენტიდან, კარგა ხანს შეყოვნებულან ირანში, მერე კი სირიის გავლით ეგვიპტეში გადასულან. მომთაბარეთა დიდ ნაწილს მცირე აზიასა და საბერძნეთში დაუყვია, XV საუკუნეში კი შუა ევროპისკენ აუღია გეზი და დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთ ქვეყნებისთვის მიუღწევია. ევროპაში ბოშები

თავიდან გულითადად მიუღიათ, მერე კი მათი ნირის, ცხოვრების მომთაბარე წესის და უცნაური ჩვეულებების გამო მათი დევნა-შევიწროება დაუწყიათ. განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ამ ხალხისთვის 1555-1780 წლები.

ადრე სისხლით ნათესაობაზე დაფუძნებულ ბოშათა თემებს სათავეში ვაიღებ და უხუცესთა საბჭო ედგნენ. მერე და მერე ვაიდთა უფლებები შეიკვეცა, ხოლო არამომთაბარე მოსახლეობაში საერთოდ გაუქმდა, სანაცვლოდ შემოღებული იქნა ხელისუფლების რწმუნებული მოსამართლის წოდება, რომელიც მხოლოდ დასახლებაში წესრიგზე აგებს პასუხს, თემის წევრთა ცხოვრებაში კი არამც და არამც არ ერევა.

დღეს ბოშები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობენ. მათი ნაწილი ახლაც მომთაბარეობს. ზოგი დიდ მანძილებს გადის, სხვები ერთი ქვეყნის, ან სულაც ერთი ოლქის ფარგლებში მოძრაობს. ბოშები სხვადასხვა ხელობას მისდევენ, თუმცა ძირითადად კალათების დაწვნა, ქვაბების მოკალვა, ჯართის შეგროვება, მჭედლობა ეხერხებათ.

გარდა ამისა, მათ შორის მოხეტიალე მუსიკოსიც ბევრია, მკითხავიც, ხელზე მოვაჭრეც და მწვერილმანეც. საუკუნეების მანძილზე ბოსფორიდან ატლანტიკამდე ბოშები ცხენებით ვაჭრობდნენ. ბოშასთვის ცხენი დღესაც არა მარტო გადაადგილების საშუალება ან გასაყიდი საქონელი, არამედ ერთგული მეგობარიცაა.

მომთაბარე ბოშები ცხოვრების უდიდეს ნაწილს ბორბლებზე ატარებენ, როგორც წესი, ისინი ფორნებით, ოთხთვალებით მოგზაურობენ. ცხოვრებით კი კარგეში ცხოვრობენ. მოხეტიალე ბოშები ზოგჯერ სახლებსაც ყიდულობენ, თუმცა შიგ მათინც არ ცხოვრობენ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც თითქმის ყველა ბოშა მუდმივად ცხოვრობს და არ მომთაბარეობს, ისინი ხშირად ერთ რაიონში ან ერთ ქუჩაზე სახლდებიან. ბოშათა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი საუკუნის წინათ ინდოეთიდან წამოსულებს და მთელ მსოფლიოში მიმოფანტულებს, მათ არასდროს დაუკარგავთ თვითმყოფადობა, ისინი ყოველთვის ცდილობდნენ არაბოშათა შორის ბოშებად დარჩენილიყვნენ.

ცხადია, ისევე როგორც სხვა ხალხებში, ბოშებშიც იყვნენ და დღესაც არიან მაწანწალები, ქურდბაცაცები, მათხოვრები, მაგრამ განა შეიძლება მთელი ხალხი აღიქვას ქურდად ან მათხოვრად? სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ასეთებს ვხედავთ მათ, ასეთებად ვიცნობთ. არადა, ეს ძალზე საინტერესო და თვითმყოფადი ხალხია, რომელიც მსოფლიოს სხვა ბევრი ეროვნული უმცირესობისგან განსხვავებით ყოველთვის ახერხებდა და კვლავაც ახერხებს ტრადიციების შენარჩუნებას. მთელი მათი ისტორია კი იმაზე მეტყველებს, რომ სხვა ერებთან ასიმილირება მათ არც მომავალში დაემუქრება.



საფხანგეთის სანაპიროებთან ამოვადნოც ძლიერ ქაი-  
შხაღში ტანუი „უიიუ“ მეჩენს გადაანყდა და გაიპო. ამას  
უი სუიოზუი უყოლოგუი უბედუიბა მოპყვა. ატლანტიის  
ოუენუში 11 ათას ტონაზე მეტი ნავთობი ჩაიღვა. ტა-  
ნუიის ყველა მეზღუაუი უი გადაიჩა, მაგამ ბიუტანის  
სანაპიროს ცხოველთა სამყაიო ძლიან დაზაილდა. გაჭი-  
ივბაში ჩავაიღოც უმნუო ფიონველებს მშველებლად სპე-  
ციალიტი-ოიონიოლოგები და მოველინენ. 4000 ფიონველი  
ადგილობრივ ვუტუიონაღუი სამუიონაღოში გადაიყვანეს, უი-  
ღევ 1000 უი – ბიოუსელის ასუთივე დანუსებუებაში ჩა-  
იყვანეს. ნავთობით დაფაიღი ფიონველები უი სპეციალიტი  
სსნაიებში აბანავეს, მეიე უი შხაპი გადაავღეს. სამნუსა-  
იოღ, კატასტიოფის ყველა მსხვეიპლის გადაიჩენა ვუი მო-  
სუიხბდა.







## როგორ აუხილეს პატარა ზებრას თვალი

ნახევრად ბრმა ზებრის კვიცი სრულიად შემთხვევით შებორიალდა სამხრეთაფრიკელი ექიმ-ოფთალმოლოგის ფერმაში და ამის წყალობით განიკურნა.

ყველაფერი კი ასე მოხდა: ორი თვის პატარა ზებრა, რომელიც თანდაყოლილი კატარაქტის გამო ვერაფერს ხედავდა, დედასთან ერთად სეირნობდა და უეცრად ახლად გათიბული ბალახის სუნი იგრძნო. კვიცი სუნს მიჰყვა და როგორც შემდგომში გაირკვა ექიმ დენი ლუვის ფერმის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ექიმი უმალ მიხვდა, რომ პატარა თითქმის ბრმა იყო.

გადანყდა კვიცი ფერმაში და ეტოვებინათ, ხოლო რათა იგი დედას არ დაშორებოდა, გამოცდილმა ეგერებმა ზებრაც დაიჭირეს და ფერმაში მიიყვანეს. პატარას ექიმის ქალიშვილის პატივისცემით ანგი დაარქვეს. ექიმ ლუვის ინიციატივით შეგროვდა ოპერაციის გასაკეთებლად საჭირო თანხები, იმავდროულად იგი მოელაპარაკა კლინიკას, რომლის საკონფერენციო დარბაზი საოპერა-

ციოდ გადააკეთეს. დამხმარე სამედიცინო პერსონალმა სურვილი გამოთქვა უფასოდ დახმარებოდა ექიმს. ოპერაციამ, რომელსაც ორი საათი დასჭირდა, წარმატებით ჩაიარა, ექიმმა დენი ლუვმა პატარა ზებრას თვალის ჩინი დაუბრუნა. ანგი იმავე დღეს მიიყვანეს ფერმაში, სადაც მას გახარებული დედა შეეგება.

## მოპარული კოალები დააბრუნეს



ამერიკის ქალაქ სან-ფრანცისკოს ზოოპარკიდან მოიპარეს 15 წლის კოალა პატი და მისი 7 წლის შვილი ლინი. ზოოპარკის დირექტორმა პოლიციას მიმართა, პოლიციამ კი თავის მხრივ, დახმარებისთვის მოსახლეობას მიმართა და სრული ანონიმურობა აღუთქვა. რამდენიმე საათის შემდეგ პოლიციაში ვილაც უცნობმა დარეკა და კოალების ადგილსამყოფელი მიუთითა, პატი და მისი ქალიშვილი მშვიდობიანად დააბრუნეს ზოოპარკში.

## როგორი საზამთრო ბნეპაპი – მრგვალი თუ კუბური?

იაპონიაში კუბური საზამთროები იყიდება. ასეთი მოყვანილობის საზამთროები დასაწყობადაც უფრო მოსახერხებელია, გადასატანადაც და მაცივარში შესანახადაც. კუბური საზამთროები აკვარიუმების მსგავს მინის ყუთებში მოჰყავთ,

სადაც ისინი სასურველ ფორმას იღებენ. კუნძულ სიკოუკი კუბე მოყვანილი ყოველწლიურად ბური საზამთრო 10 000 იენა ანუ დაახლოებით 80 დოლარი ეღირება.

## ახალი თაობა ირჩევს სპორტს

სათამაშოების ამერიკულ ბაზარზე 40 წლის თოჯინა ბარბის მორიგი მეტოქე გამოუჩნდა. ახალ ბარბის არც სამეფლისო თუ საქორწინო კაბა აცვია, არც ჯინსი თუ ბიკინი. მას სპორტული ტანსაცმელი მოსწონს და ძალიან უყვარს კალათბურთი, წყალქვეშა ცურვა, ფეხბურთი, სერფინგი და სპორტის სხვა სახეობები. ახალ



თოჯინას რამდენიმე სახელი აქვს, იგი მათ გატაცებების მიხედვით იცვლის. მაგალითად, კორი იმ თოჯინას ჰქვია, რომელიც სპორტის წყლის სახეობებში ვარჯიშობს და სკოლის შემდეგ ზღვის ბიოლოგიის შესწავლას აპირებს. ნაკია კალათბურთის „დედოფალი“, სქაილარი სპორტის ზამთრის სახეობებით არის გატაცებული.

ახალი თოჯინის შემქმნელის ჯულზ ჩავესის აზრით, მისმა ნახელავმა თანამედროვე ამერიკული გოგონების დიდი უმრავლესობის მოწონება უნდა დაიმსახუროს.

სკოლაში ბიჭები უფროსებს პატარ-პატარა ყუთების გადაზიდვაში ეხმარებოდნენ. მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ერთ მოსწავლეს თითო-თითო ყუთი გადაჰქონდა და ჰკითხა: ვალტერ, თითო-თითო ყუთი რატომ გადაგაქვს, შეხედე, ყველას ორ-ორი მიაქვს!

– ისინი ზარმაცები არიან, მეორედ მოსვლა ეხარებათ, – უპასუხა ვალტერმა ღიმილით.



ორი ბიჭი თავგამოდებით გარბოდა ფინიშისკენ.

– რატომ გარბიან? – ჰკითხა პატარა ტომმა დედას.

– იმიტომ, რომ ვინც პირველი მივა დანიშნულ ადგილამდე, ჯილდოს მიიღებს – მიუგო დედამ.


– გასაგებია, ერთი ბიჭი ჯილდოს მისაღებად გარბის, მაგრამ მეორეს რაღა მიარბენინებს?! – გაუკვირდა ტომს.



მასწავლებელი: პეტერ, აბა მიპასუხე, რას გვაძლევს ცხვარი? პეტერი დუმს.

მასწავლებელი: მაშინ მითხარი, რისგან არის დამზადებული შენი ქურთუკი?


პეტერი: მამაჩემის პალტოსგან!



ერთ ზარმაცს ჰკითხეს:


კი მაგრამ, დამჯდარი რატომ აპობ შეშას?

– მამ რა ვქნა, დაწოლილმა ვცადე და ვერ მოვახერხე.



– ყოჩაღ, ჟაკ, მშვენიერი ნახატია, ოთხიანს გიწერ!

– რატომ, მასწავლებელო, როცა დედამ ეს სურათი დამიხატა, მითხრა, აუცილებლად ხუთიანს მიიღებო.



– ფრანსუა, გამოდი და რუკაზე ამერიკა მიჩვენე! – ეუბნება მასწავლებელი მოსწავლეს.

# სიცვილის გაკვეთილი



ფრანსუამ მყისვე აჩვენა ამერიკა, მასწავლებელი კი კლასს მიუბრუნდა და ეკითხება:

– ახლა თქვენ მიპასუხეთ, ვინ აღმოაჩინა ამერიკა?

– ფრანსუამ, მასწავლებელო!

– ერთხმად წამოიძახეს მოსწავლეებმა.



ბიჭმა მანქანა გააჩერა: – სკოლამდე მიმიყვანეთ რა, ბიძია!

– მე სხვა გზით მივდივარ, – უთხრა მძღოლმა.

– მით უკეთესი! – მიუგო ბიჭმა.



– ცოლმა ქმარს ბავშვის დაბანვა დაავალა და მამაც ამაყად შეუდგა დავალების შესრულებას.

– შეილო მე ხომ დედაზე უკეთესად გაბანავებ? – ჰკითხა მამამ აბაზანაში მოჭყუძპალავე ბიჭს.

– კი, მამიკო, ოღონდ დედა ვიდრე აბაზანაში ჩამსვამდე, წინდებსა და ფეხსაცმელს რმხდისსკი ხოლმე.




მასწავლებელი: რამდენი საათია დღე-ღამეში?

მოსწავლე: ოცდაორი.


მასწავლებელი: როგორ თუ ოცდაორი?

მოსწავლე: თქვენ თვითონ არა თქვით ამასწინათ, ახლა დღე ორი საათით მოკლეაო.




– ახლა კი წავიდეთ, მიწის თხილი ვიყიდოთ და მაიმუნებს ვაჭამოთ. გინახავს როგორ ჭამენ მაიმუნები თხილს?

– პაპა, არა ჯობია ნახო, როგორ ჭამს პატარა ბიჭი ნაყინს?



მასწავლებელი: ჟანგბადი, ურომლისოდაც სიცოცხლე შეუძლებელია, 1773 წელს აღმოაჩინეს.


მოსწავლე: საოცარია, აბა მანამდე რითი სუნთქავდნენ ადამიანები?



ერთი პირველკლასელი განცალკევებით დგას სკოლის ეზოს კუთხეში.

– მანდ რას აკეთებ? მოდი, ჩვენთან ითამაშე! – შესთავაზეს ბიჭებმა.

– არა, არ მინდა, როცა ვთამაშობ, დასვენება მალე მთავრდება, – უპასუხა პატარამ.




ჯიმი აფთიაქში შევიდა და აფთიაქარს ვალიდოლი, ვალოკორდინი, ვალერიანის წვეთები, ნიტროგლიცერინი და პირამიდონი სთხოვა.

– კი, მაგრამ ყმაწვილო, რა ხდება, რად გინდა ამდენი წამალი, ვინა გყავს ავად? – გაიკვირვა აფთიაქარმა.

– ჯერ არავინ, მაგრამ კლასის დამრიგებელმა მითხრა, საღამოს თქვენთან უნდა მოვიდე, შენს მშობლებს უნდა ველაპარაკო.



## კრახვარდი



**თარაზულად:** 1. ქალაქი კორეაში; 3. ქალაქი ინდოეთის ჩრ. დასავლეთ ნაწილში; 8. „უნგრული რაფსოდის“ ავტორი; 9. რიცხვითი სახელი; 11. გემთმშენებლობის ცენტრი გერმანიაში; 14. ძველებური ფრანგული სიგრძის სახომი; 17. შინაური ცხოველი; 19. ბულგარეთის ქალაქი – კურორტი შავ ზღვაზე; 20. ხმის გადასაცემი საშუალება; 22. ზმნა; 23. ქალაქი აფრთხიაში, მდ. თეთრი ნილოსის ერთ-ერთ შენაკადზე; 24. ფრანგი ფიზიკოსი; 25. რუსული ცირკის გამორჩენილი მსახიობი; 28. რუსი საბავშვო მწერალი; 29. შავი მეტალურგიის ნედლეული; 30. გერმანელი ფიზიკოსი; 31. დროის განმსაზღვრელი ხელსაწყო; 32. ბგერის აღმნიშვნელი წერილობითი; 34. ელექტრული მანქანის ნაწილი; 36. წონის ძველი ერთეული; 38. ღენის ძალის ერთეული;

40. ქიმიური ნაერთი; 42. მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ძველ რუსეთში; 43. სახლის წინ მდებარე ტერიტორია; 44. ქალაქი დასავლეთ საქართველოში; 45. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი; 47. უარყოფითი თვისება, ანუ? 49. კურორტი შავ ზღვაზე; 50. იარა, ანუ; 53. ტყვია-წამლის ჩასაყრელი.


**შპეულად:** 1. რისიმე ჩამოთვლა; 2. ტროპეული მცენარე; 4. ცხოველის სხეულის ნაწილი; 5. ქალის სახელი; 6. ვითარების გარემოება; 7. ჭურჭელი; 10. ხის ხელოსანი, ანუ? 12. სასწავლო ინვენტარი; 13. მიწის დასამუშავებელი იარაღი; 14. რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 15. ქიმიური ელემენტი; 16. მექანიკის ნაწილი; 18. განთიადი, ანუ? 21. შინაგანი ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 22. ნივთიერების კონცენტრაციის თავისთავადი გათანაბრება; 26. წვადი გაზები ან ორთქლი, ანუ? 27. ჩვენი გალაქტიკის ყველაზე დიდი ვარსკვლავი; 33. ქალაქი საბერძნეთში; 35. გავერანებული, ანუ? 37. სმენის ორგანო; 39. ვულკანი სიცილიაზე; 41. კუნძული მალაგის არქიპელაგზე; 45. ღვინის ჭურჭელი; 46. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი მათემატიკაში; 48. მცენარე; 49. საქართველოს მაღალმთიანი რაიონი; 51. კავშირი; 52. ხილი.

ნ	ა	კ	ა	დ	უ	ლი	ჩ	ე	მ	ი	ჭ	უ	რ	ს	ა	ლ	ი	ა	
ბ	ქ	ი	მ	ნ	ო	ა	ა	ლ	ო	ლ	ბ	ბ	ტ	ნ	ი	ნ	ა	ბ	ი

### კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გაუქმებულ უჯრებში მურმან ლებანიძის ლექსის სტრიქონს ამოიკითხავთ.

ნ. გემრიელი საჭმელი. ა. მიწის თხილი. კ. სათამაშო სახლი, სამორინე. ა. ხილი. დ. რის გვირგვინს ადგამენ გამარჯვებულს. უ. ქართული ხორბლის ჯიში. ლ. პორტარტური, იგივე... ი. სამოვარი. ჩ. პატარა ბავშვი. ე. „კუზიანი კვიციის“ ავტორი. მ. „წითელქუდას“ ერთ-ერთი პერსონაჟი. ი. სახუმარო, დაცინვითი შინაარსის ლექსი. ე. ქალაქი ბელორუსიაში. უ. ერთგვარი პატარა მაიმუნი. რ. ბრძოლის დრო კრივში. ნ. ის, რითიც ჭედავენ ცხენს. ა. ტროპეული ხილი. ლ. ქალის სახელი. ი. იაპონური დეკორატიული ხელოვნება. ა. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში.

ელისო გღვარიშვილი,  
გორის რაიონის სოფელ ქვაზერელის  
საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე.




**ფოსტალიონმა სასწრაფოდ უნდა დაარიგოს 9 კონვერტი. მან ერთი დახედა გიგმას და უმაღ მიხვდა, რა გზებით უნდა ევლო, რომ ადრესატაგამდე მისულიყო და აბასთან ორჯერ არსად გაევილო. რა გზით იარა ფოსტალიონმა?**



5 წლის



3 წლის



5 წლის

სალომე კარიჭაშვილი



4 წლის



5 წლის  
ელენე  
ამაშუკელი

